F 133
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

186/2

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

90

## № 3

მაისი — ივნისი
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1965 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

83. ქ. თბილისში დიდების მონუმენტის აგების შესახებ.
84. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 155 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 139 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
85. „სასკოლო მშენებლობისა და სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 სექტემბრის № 650 დადგენილების მე-10 პუნქტის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.
86. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის შექმნის შესახებ.
87. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 31 მარტის № 313 დადგენილების გაუქმების შესახებ.
88. სკოლებში ისტორიის სწავლების წესის შეცვლის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89. სამომხმარებლო კოოპერაციის — ცეკავშირის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

90. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის [illegible] ყოფილის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. ზოგიერთი სკოლისა და სასკოლო დაწესებულებებისათვის საბჭოთა კავშირის გმირების სახელწოდების მიკუთვნების შესახებ.

92. ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლისათვის ანდრია მაქსიმეს ძე ჭოჭუას სახელის მიკუთვნების შესახებ.

93. ფოთის ქალაქის საზღვრების შესახებ.

94. ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში ბილეთების ფასების დაწესების შესახებ.

95. „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ.

96. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 დეკემბრის № 802 დადგენილების გაუქმების შესახებ.

97. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და შტატის დამტკიცების შესახებ.

98. საოლქო, რაიონული გაზეთებისა და სტამბების საკითხები.

99. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ მთავარ სამმართველოს სისტემაში ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადებისა და საბითუმო რეალიზაციის სამმართველოს „საქხილბოსტანის“ შექმნის შესახებ.

100. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 აგვისტოს № 728 დადგენილების გაუქმების შესახებ.

101. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ დებულების დამტკიცების შესახებ.

102. „პოლიგრაფიული საწარმოების გახსნის და მათი საქმიანობის კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 22 ივლისის № 1111 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

103. საერთო სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გამწვანების სამუშაოების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.

104. რესპუბლიკაში ვეტერინარული ქსელის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

105. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

106. სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ.

107. საგარეჯოს რაიონში ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის დაარსების შესახებ.

108. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილებით სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათების იმ სხვა ინვალიდებზე გავრცელების შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს.

109. ყურძნის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

110. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
111. ზოგიერთ სასკოლო და კულტურულ დაწესებულებისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ.
112. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
113. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ გამოცემის შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

114. განკარგულება № 565.
115. განკარგულება № 597.
116. განკარგულება № 641.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 83 ქ. თბილისში დიდების მონუმენტის აგების შესახებ

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით და საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აგებულ იქნას ქ. თბილისში გმირთა მოედანზე იმ მეომართა დიდების მონუმენტი, რომლებიც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაიღუპნენ.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინონ 1966 წლის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმით და ბიუჯეტით დიდების მონუმენტის აგება ქ. თბილისში.

3. იმ მიზნით, რომ შეიქმნას მაღალმხატვრული მონუმენტური ძეგლი, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის ხალხის დიად გამარჯვებას საბჭოთა კავშირის 1941—1945 წლების სამამულო ომში, საჭიროდ ჩაითვალოს გამოცხადდეს ღია კონკურსი იმ მეომართა დიდების მონუმენტის პროექტზე, რომლებიც დაიღუპნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლებში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1965 წ. 4 მაისი, № 276.

## 84 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 155 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 139 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 155 დადგენილებისა „ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 მარტის № 221 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე“ და სსრ

ეროვნული

კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 139 დადგენილებისა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 11 მაისი, № 296.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 11 მაისის № 296
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 155 და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 139 დადგენილებებთან დაკავშირებით**

1. „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და პირუტყვის სულადობის გადიდების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 31 მარტის № 526 დადგენილების 51-ე პუნქტის ქვეპუნქტი „ა“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 15 აგვისტოს № 879 დადგენილება „1947 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის გამოზიდვაში ჭარხლისმთესველი კოლმეურნეობებისა და გლეხური მეურნეობებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 26 სექტემბრის № 1045 დადგენილება „1947 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მზრალად ხვნის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 17 თებერვლის № 183 დადგენილება „შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 21 ივნისის № 679 დადგენილება „1949 წლის ბამბის ნათესების მოვლის ღონისძიებათა შესახებ“.

6. „1950-1960 წლებში მეაბრეშუმეობის აღმავლობის, პარკის დამზადებისა და პირველადი გადამუშავების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 11 ნოემბრის № 1537 დადგენილების 23-ე პუნქტის ქვეპუნქტი „ზ“.

7. პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 8 ივნისის № 729 დადგენილებისა „1950 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების ჩატარების შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 21 თებერვლის № 200 დადგენილება „1951 წლის საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მომზადების შესახებ“.

9. პუნქტი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 31 მაისის № 666 დადგენილებისა „1951 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების ჩატარების შესახებ.“

10. პუნქტი 15 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 30 მაისის № 739 დადგენილებისა „1952 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების ჩატარების შესახებ“.

## 85 „სასკოლო მშენებლობისა და სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 სექტემბრის № 650 დადგენილების მე-10 პუნქტის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 334 დადგენილების შესაბამისად, გაუგრძელდეს 1966 — 1967 წლებისათვის მოქმედების ვადა მე-10 პუნქტს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 სექტემბრის № 650 დადგენილებისა „სასკოლო მშენებლობისა და სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების ზომების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობებზე საკლასო ოთახების მისაშენებლად.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. როდიონოვი.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 25 მაისი, № 331.

## 86 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება და, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, გამოიყოს ცხინვალის საქალაქო საბჭოს შემადგენლობაში შემავალი სასოფლო საბჭოები და შეიქმნას მათგან ცხინვალის რაიონი.

2. მიღებულ იქნას ცნობად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჯიოევის განცხადება, რომ ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის აპარატი დაკომპლექტდება ის საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც ოლქს დაუმტკიცდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. როდიონოვი.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 25 მაისი, № 338.

## 87 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 31 მარტის № 313 დადგენილების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 242 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 სექტემბრის № 800 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 31 მარტის № 313 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 ივნისი, № 358.

## 88 სკოლებში ისტორიის სწავლების წესის შეცვლის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 14 მაისის № 391 დადგენილებისა „სკოლებში ისტორიის სწავლების წესის შეცვლის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „სკოლებში ისტორიის სწავლებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 იანვრის № 19 დადგენილების 1 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნაცვლად სსრ კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსისა VII-VIII კლასებში და სსრ კავშირის ისტორიის სისტემატური კურსისა IX-XI კლასებში სსრ კავშირის ისტორია უნდა ისწავლებოდეს ერთხელ, თანმიმდევრულად VII-დან X კლასამდე, ხოლო უცხოეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კურსი — VIII-დან X კლასამდე; ნაცვლად ცნობებისა საქართველოს ისტორიიდან, რომლებიც ისწავლება VII-VIII კლასებში და საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსისა, რომელიც ისწავლება X-XI კლასებში, საქართველოს ისტორია უნდა ისწავლებოდეს ერთხელ, თანმიმდევრულად VII-დან X კლასამდე.

2. დაევალოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს:

— 1966 წლის 1 მარტამდე მოამზადოს (კონკურსის წესით) საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, რომელიც სავსებით შეესაბამება თანამედროვე სამეცნიერო და პედაგოგიურ მოთხოვნებს, ისე, რომ არ იყოს იგი დიდი მოცულობის;

—2-3 წლის განმავლობაში მოამზადოს გამოსაცემად ქრესტომათიები და კლასგარეშე საკითხავი წიგნები სსრ კავშირის ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში.

3. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და პედაგოგიკის კათედრებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, სსრ კავშირის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის ქრესტომათიებისა და კლასგარეშე საკითხავი წიგნების შედგენაში, იმ ხელნაწერთა მეცნიერულ შემოწმებასა და განხილვაში, რომლებსაც ავტორთა კოლექტივები წარუდგენენ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 ივნისი, № 359.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 89 სამომხმარებლო კოოპერაციის — ცეკავშირის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ

სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და საყოფაცხოვრებო საწარმოების ერთ სისტემაში თავმოყრის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სამომხმარებლო კოოპერაციის — ცეკავშირის გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი მისი საწარმოები გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს გამგებლობაში.

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საწარმოს (შენობები, ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, მოწყობილობა) გადაცემა მოხდეს უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე 1965 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით;

— მასალების, ნედლეულის, მცირეფასოვანი ინვენტარისა და სხვა საბრუნავი აქტივების გადაცემა მოხდეს ღირებულების გადახდით ერთი თვის ვადაში ფაქტიური გადაცემის მომენტიდან;

— გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს 1965 წლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, შრომისა და საფინანსო გეგმები და მატერიალურ-ტექნიკური ფონდები გადასაცემი ობიექტების მიხედვით, აგრეთვე ამავე ობიექტების საანგარიშო მონაცემები 1960-1964 წლებისათვის; საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების სადგომები, რომ-

მუხ. 89
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებიც მდებარეობენ შენობებში ცეკავშირის სავაჭრო და სხვა წარმოებით საწარმოებთან ერთად, გადაეცეს საიჯარო საწყისებზე.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების გადაცემის მომენტიდან ცეკავშირის გამგეობა შეწყვეტს გადასახდელების შეტანას ბიუჯეტისა და ბანკების წინაშე ვალდებულებათა გამო.

2. შეტანილ იქნას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს სისტემის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებისა და კომბინატების არსებულ დისლოკაციაში შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

ა) ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, გურჯაანის, გაგრის, გალის, გუდაუთის, დუშეთის, მცხეთის, მახარაძის, მარნეულის, ონის, ოჩამჩირის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ზესტაფონის, ზუგდიდის, კასპის, ქობულეთის, წულუკიძის, წყალტუბოს, წითელწყაროს, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, ხაშურის რაიონებში არსებული მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები და კომბინატები, რომლებიც მთავარ სამმართველოს სისტემაში შედიან, დაუმორჩილდეს სათანადო რაიაღმასკომებს და ეწოდოთ მათ რაიაღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები, ამასთან დაეკისროთ ამ სამმართველოებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

რაიაღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ზემოაღნიშნულმა სამმართველოებმა მიიღონ სამომხმარებლო კავშირთა შესაბამისი საწარმოო-საყოფაცხოვრებო კომბინატები და გადააკეთონ ეს უკანასკნელები შესაბამისი რაიონული სამმართველოების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებად, ამასთან დატოვონ ისინი დამოუკიდებელ ბალანსზე.

ჭიათურის სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოო-საყოფაცხოვრებო კომბინატი გადაეცეს ჭიათურის საქალაქო აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს.

ბორჯომისა და ონის რაიაღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებმა მიიღონ ამ რაიონების სამომხმარებლო კოოპერაციის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რომლებიც არ იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე, ხოლო ტყიბულის საქალაქო სამმართველომ — ტყიბულის სამომხმარებლო კოოპერაციის საყოფაცხოვრებო ობიექტები;

ბ) მოეწყოს ცეკავშირის სისტემიდან გადასაცემი საწარმოო-საყოფაცხოვრებო კომბინატების ბაზაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები მშრომელთა დეპუტატების აბაშის, ამბროლაურის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ვანის, გორის, გარდაბნის, გეგეჭკორის, დმანისის, ყაზბეგის, ქარელის, ყვარლის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თერჯოლის, თიანეთის, თეთრიწყაროს, ხობის, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ქედის, გულრიფშის, ბათუმის, ხულოს, ჯავის, ზნაურის და ლენინგორის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან.

№ 3/
ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოებს შექმნან კომისიები შემდეგ წარმომადგენელთა შემადგენლობით: საქალაქო (რაიონული) აღმასკომებისა (თავმჯდომარე), საფინანსო ორგანოსი, ბანკებისა, სამომხმარებლო კოოპერაციისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გადასაცემად ცეკავშირის სისტემიდან მთავარ სამმართველოს სისტემაში.

გადაცემა დაამთავრონ და მასალები წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს და ცეკავშირის გამგეობას 1965 წლის 1 ივლისისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს თავისი წინადადებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების რეორგანიზებული და ახლად შექმნილი სამმართველოებისა და კომბინატების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ დაამტკიცოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების საშტატო განრიგები შრომის გეგმის, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს დაუწესდა 1965 წლისათვის.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა განახორციელონ ცეკავშირის სისტემის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მიღება და გადასცენ ისინი ავტონომიური სს რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების სისტემას.

ასს რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებისათვის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის საშტატო განრიგების დაწესება შრომის გეგმის ფარგლებში დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს.

6. გადიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს აპარატის შტატი 10 ერთეულით, ამასთან შეტანილ იქნას მის სტრუქტურაში შრომისა და ხელფასის განყოფილება 4 ერთეულის რაოდენობით (განყოფილების უფროსი — 1, უფროსი ეკონომისტი — 1, უფროსი ინჟინერ-ნორმადარი — 1 და ეკონომისტი შრომის დარგში — 1); საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი — 1, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ინჟინერი — 1, ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი ბუღალტერი — 1, საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების ბუღალტერ-რევიზორი — 1, ადმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების მემანქანე — 2, ხოლო საგეგმო-საფინანსო განყოფილებაში — ერთი უფროსი ეკონომისტი ფასების დარგში, ნაცვლად ამავე განყოფილების უფროსი მგეგმავი ეკონომისტისა.

მთავარ სამმართველოს აპარატის აღნიშნული გადიდება მოხდეს ცეკავშირის ცენტრალური აპარატის 4 ერთეულით შემცირების ხარჯზე და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის იმ ლიმიტის ხარჯზე, რომელიც საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს დაუწესდა 1965 წლის დამლევისათვის, — 6 ერთეული.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ 1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში და შემოსავალ-გასავლის ბალანსში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

8. იმის გამო, რომ ცეკავშირის სისტემიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო იქნება საბრუნავი სახსრების გადიდება, დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან ერთად ერთი თვის ვადაში განსაზღვროს რაიონების მიხედვით საბრუნავი სახსრების ნორმატივები და მათი დაფარვის წყაროები.

9. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ქსელის გაფართოებას სოფელ ადგილებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში ამ საწარმოების დაახლოება მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილთან;

გააფართოონ იმ გამსვლელი ბრიგადების ქსელი, რომლებიც სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ადგილობრივ მიიღებენ შეკვეთებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის;

ბ) ჩაატარონ მუშაობა, რათა განმტკიცდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების წვრილი სახელოსნოები და შეიქმნას ასეთივე მომსახურების დიდი საწარმოები მიმღები პუნქტების ფართო ქსელით;

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ) მიიღონ ზომები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კადრების განმტკიცებისა, მომზადებისა, აღზრდისა და მათი შერჩევა-განაწილების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 3 მაისი, № 268.

## 90 ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ადგილსამყოფელის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 მარტის № 174 დადგენილების მე-10 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი სამტრედიიდან გადმოტანილ იქნას ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 მაისი, № 281.

## 91 ზოგიერთი სკოლისა და სასკოლო დაწესებულებებისათვის საბჭოთა კავშირის გმირების სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აბაშის, ხაშურის, წულუკიძის, სამტრედიის, გურჯაანისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობანი და მიეკუთვნოთ:

1. გულრიფშის რაიონის სოფ. გუმისტის საშუალო სკოლას — ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, საბჭოთა კავშირის გმირის არუთინ ხაჩიკის ძე ჩაკრიანის სახელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აბაშის რაიონის სოფ. ნაესაკავოს საშუალო სკოლას — ამ სოფლის მკვიდრის, საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანის სახელი;

4. ხაშურის რაიონის სოფ. იტრიის საშუალო სკოლას — ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი დიანოზის ძე ტალახაძის სახელი;

5. ქ. წულუკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლს — საბჭოთა კავშირის გმირის ზოია მათეს ასულ რუხაძის სახელი;

6. სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის საშუალო სკოლას — ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, საბჭოთა კავშირის გმირის აკაკი ლუკას ძე ტერელაძის სახელი;

7. გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახის საშუალო სკოლას — ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ლევანის ძე ბეროშვილის სახელი;

8. ხაშურის რაიონის სოფელ ალის საშუალო სკოლას — ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი იოსების ძე პაპუაშვილის სახელი;

9. მახარაძის რაიონის სოფ. გურიანთის საშუალო სკოლას — ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, საბჭოთა კავშირის გმირის ვასილ შალვას ძე კვაჭანტირაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 მაისი, № 282.

## 92 ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლისათვის ანდრია მაქსიმეს ძე ჭოჭუას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლას თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარის ანდრია მაქსიმეს ძე ჭოჭუას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 მაისი, № 283.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

## 93 ფოთის ქალაქის საზღვრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი ქალაქ ფოთის საზღვრების პროექტი დანართის დანახმად.

ქალაქ ფოთის ტერიტორიის საერთო ფართობი ქალაქის საზღვრებში განისაზღვროს — 6.089 ჰექტარით.

2. ქ. ფოთის ახალი საქალაქო საზღვრების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. ქალაქ ფოთის საზღვრებში შეტანილი საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიწები რჩება მათ სარგებლობაში და საჭიროების შემთხვევაში მისი გამოყოფა ხდება დადგენილი წესის შესაბამისად.

აეკრძალოს ყველა მიწათმოსარგებლეს დამტკიცებული საქალაქო საზღვრის ფარგლებში ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოების და მრავალწლიანი კულტურის გაშენება ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნებადაურთველად.

4. დაევალოს ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ქალაქის განვითარება აწარმოოს ქალაქის დაგეგმარების დამტკიცებული პროექტის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 10 მაისი, № 284.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 10 მაისის № 284
დადგენილების დანართი

## ქ. ფოთის პერსპექტიული სასაზღვრო ხაზის აღწერილობა

**ჩრდილოეთით:**

ქ. ფოთის სასაზღვრო ხაზის საწყის წერტილად მიღებულია მდინარე რიონის მარცხენა ნაპირისა და შავი ზღვის შემაერთებელი წერტილი, საიდანაც საზღვარი გასდევს მდ. რიონის მარცხენა ნაპირს, კვეთს მდინარე რიონზე არსებულ რკინიგზის ხიდს და მთავრდება რკინიგზის ხიდიდან 1250 მეტრის დაშორებით მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთით:

ქ. ფოთის პერსპექტიული საზღვარი იწყება ჩრდილოეთი საზღვრის აღმოსავლეთ ბოლო წერტილიდან და სწორხაზოვნად მიემართება სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით 1000 მეტრის მანძილზე, რის შემდეგ საზღვრის ხაზი სწორკუთხით უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით, და მიემართება 250 მეტრის მანძილზე გადაკვეთის კუთხიდან, რის შემდეგ საზღვრის ხაზი უხვევს სამხრეთით და მიემართება სწორხაზოვნად მდინარე შავიღელეს პალიასტომის ტბასთან შესართავამდე. აქედან სასაზღვრო ხაზი უხვევს აღმოსავლეთით და უვლის პალიასტომის ტბის ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაპირს, გადის მდ. კაპარჭას სამხრეთი ტოტის მარჯვენა ნაპირზე და მიყვება მას მდინარე ჩერპალკას (დედაბერა) შესართავამდე, შემდეგ სასაზღვრო ხაზი გადის კაპარჭას მარცხენა ნაპირზე იმ წერტილამდე, სადაც მდინარე კაპარჭა და მდინარე მალთაყვა ქმნიან მართკუთხეს, ამ წერტილიდან აღმოსავლეთი საზღვარი მიემართება სამხრეთ აღმოსავლეთ მიმართულებით 750 მეტრის მანძილზე არსებულ წერტილამდე.

სამხრეთით:

ქ. ფოთის სასაზღვრო ხაზი სწორი კუთხით უხვევს შავი ზღვისაკენ და მთავრდება შავი ზღვის ნაპირზე. მანძილი სამხრეთი საზღვრის საწყის წერტილიდან ბოლო წერტილამდე არის 380 მეტრი.

დასავლეთით:

ქ. ფოთის სასაზღვრო ხაზი, სამხრეთი საზღვრის ბოლო დასავლეთი წერტილიდან მიყვება შავი ზღვის ნაპირს ჩრდილოეთი მიმართულებით და მთავრდება მდინარე რიონის შესართავის მარცხენა ნაპირზე არსებულ წერტილამდე ე. ი. ჩრდილოეთი საზღვრის საწყის წერტილამდე. ზემოაღნიშნულ საზღვრებში მოქცეულია 6.089 ჰექტარი ფართობი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| 1. სამოსახლო ტერიტორიები | — 1570 | ჰექტარი |
| 2. არასამოსახლო ტერიტორიები | — 794 | „ |
| 3. აკვატორია | — 2261 | „ |
| 4. სარეზერვო ტერიტორიები | — 1464 | „ |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 94 ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში ბილეთების ფასების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შუამდგომლობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 სექტემბრის № 533 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს ბილეთების ახალი ფასები ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალურ თეატრში, თანახმად დანართისა, თეატრის 1965 წლის ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 მაისი, № 287.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 287
დადგენილების დანართი

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში
ბილეთების ფასებისა და საერთო შემოსავლების შესახებ

| რიგები | ადგილების რაოდენობა | საღამოს სპექტაკლებზე | | დილის სპექტაკლებზე | | პრემიერებზე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბილეთის ფასი | საერთო შემოსავალი | ბილეთის ფასი | საერთო შემოსავალი | ბილეთის ფასი | საერთო შემოსავალი |
| 1-6 | 172 | 1-40 | 240—80 | 1-00 | 172—00 | 1—80 | 309-60 |
| 7—13 | 217 | 1—20 | 260—40 | 0—80 | 173 60 | 1-50 | 325—50 |
| 14—23 | 323 | 1-00 | 323-00 | 0—70 | 226-10 | 1-30 | 419—90 |
| 24 | 41 | 0-80 | 32—80 | 0—40 | 16 40 | 1-00 | 41--00 |
| სულ . | 753 | | 857 | | 588-10 | | 1096-00 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 95 „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ტიპობრივი შტატები „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისა, დანართის თანახმად, და შემოღებულ იქნას ისინი სამოქმედოდ 1965 წლის 1 ივნისიდან. ამავე რიცხვიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ გაერთიანებათა და განყოფილებათა სანიმუშო საშტატო განრიგი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 მარტის № 148 დადგენილებით (დანართი № 5).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 მაისი, № 288.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 288
დადგენილების დანართი

# ტიპობრივი შტატები

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების და განყოფილებების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა

| თანამდებობათა და სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დასახელება | მუშაკთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით | |
|---|---|---|
| | პირველი ჯგუფი 250 ათას მანეთზე მეტი სამუშაოს მოცულობით (შრომის ანაზღაურების I-II ჯგუფი) | მეორე ჯგუფი 250 ათას მანეთამდე სამუშაოს მოცულობით (შრომის ანაზღაურების III და IV ჯგუფი) |
| მმართველი | 1 | 1 |
| მთავარი ინჟინერი — მმართველის მოადგილე | 1 | 1 |
| უფროსი ინჟინერი ექსპლუატაციისა და რემონტის დარგში | 1 | — |
| უფროსი ეკონომისტი | 1 | 1 |
| უფროსი აგრონომი მცენარეთა დაცვის დარგში | 1 | 1 |
| უფროსი აგრონომი სასუქებისა და შხამქიმიკატების დარგში | 1 | 1 |
| ინჟინერი ახალი ტექნიკის დანერგვის, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში | 1 | 1 |
| ინჟინერი ნავთობპროდუქტებისა და ნავთობმეურნეობის დარგში | 1 | — |
| ინჟინერი სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოსაყენებელი მანქანების დარგში | 1 | — |
| მეურნეობის გამგე — იგივე სახანძრო-სადარაჯო დაცვის უფროსი | 1 | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 | 1 |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 1 | 1 |
| ს უ ლ: | 12 | 9 |
| **ბუღალტერია** | | |
| უფროსი ბუღალტერი (მთავარი ბუღალტრის უფლებით) | 1 | 1 |
| უფროსი ბუღალტრის მოადგილე | 1 | 1 |
| ბუღალტერი | 2 | 1 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 | 1 |
| ს უ ლ: | 5 | 4 |
| **ვაჭრობა** | | |
| მმართველის მოადგილე ვაჭრობის დარგში | 1 | 1 |
| უფროსი ინჟინერი | 1 | — |
| საქონელმცოდნე | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თანამდებობათა და სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დასახელება | მუშაკთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით | |
|---|---|---|
| | პირველი ჯგუფი 250 ათას მანეთზე მეტი სამუშაოს მოცულობით (შრომის ანაზღაურების I-II ჯგუფი) | მეორე ჯგუფი 250 ათას მანეთამდე სამუშაოს მოცულობით (შრომის ანაზღაურების III და IV ჯგუფი) |
| ბუღალტერი . . . . . . . . . . . . . . | 3 | 2 |
| საწყობის გამგე . . . . . . . . . . . . | 3-5 | 2-3 |
| სულ: | 9-11 | 6-7 |
| **სარემონტო სახელოსნო** | | |
| სახელოსნოს გამგე . . . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| ინჟინერ-კონტროლიორი . . . . . . . . . | 1 | — |
| ინჟინერ-ნორმადარი . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| ბუღალტერი . . . . . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| სულ: | 4 | 3 |
| **მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია** | | |
| მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის უფროსი ინჟინერი . . . . . . . . | 1 | 1 |
| ინჟინერ-ელექტრიკოსი . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| სულ: | 2 | 2 |
| **სამელიორაციო და სხვა მექანიზებული სამუშაოები** | | |
| უფროსი ინჟინერი — რაზმის უფროსი . . . . | 1 | 1 |
| სულ: | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თანამდებობათა და სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დასახელება | მუშაკთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით | |
|---|---|---|
| | პირველი ჯგუფი 250 ათას მანეთზე მეტი სამუშაოს მოცულობით (შრომის ანაზღაურების I-II ჯგუფი) | მეორე ჯგუფი 250 ათას მანეთამდე სამუშაოს მოცულობით (შრომის ანაზღაურების III და IV ჯგუფი) |
| **ავტოტრანსპორტი** | | |
| ავტომექანიკოსი . . . . . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| ტექნიკოსი — დისპეტჩერი . . . . . . . . | 1 | 1 |
| ს უ ლ: | 2 | 2 |
| ს უ ლ: | 2 | 2 |
| მ თ ლ ა დ: | 35—37 | 27–28 |

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** 1. საწყობის გამგის თანამდებობა დაწესდება საწყობების რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 5-სა პირველი ჯგუფისათვის და 3-სა — მეორე ჯგუფისათვის.

2. სარემონტო სახელოსნოს შტატი დაწესებულია ერთ სახელოსნოზე.

3. უფროსი ინჟინრის — რაზმის უფროსის თანამდებობა დაწესდება რაზმების რაოდენობის მიხედვით.

4. ინჟინერ-მექანიზატორის თანამდებობა დაწესდება ტექნიკური მომსახურების სადგურების რაოდენობის მიხედვით.

5. შტატებს „სოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებისა და განყოფილებისათვის დაამტკიცებენ გაერთიანების, განყოფილების მმართველი შრომის გეგმის, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რაოდენობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლის დროსაც სახელმძღვანელოდ უნდა იქნას მიღებული ეს ტიპობრივი შტატები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟორჟაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 96 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 დეკემბრის № 802 დადგენილების გაუქმების შესახებ

„ელექტროსადგურებისა და ელექტროქვესადგურებისათვის ენერგეტიკული მოწყობილობის კომპლექტურად მიწოდების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 17 მარტის № 171 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 დეკემბრის № 802 დადგენილება „1958 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში ელექტროსადგურებზე სიმძლავრეთა და ელექტროგადამცემი ხაზების ამუშავების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 მაისი, № 289.

## 97 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და შტატის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურა და შტატები 94 ერთეულის რაოდენობით იმ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე, რაც სამმართველოს სისტემას დაუმტკიცდა 1965 წლისათვის, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

ამასთან დაკავშირებით შეუმცირდეს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს პერსონალური განაკვეთების ლიმიტი 314 მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 15 მაისი, № 291.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 15 მაისის № 291
დადგენილების დანართი № 1

# სტრუქტურა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოსი

1. მთავარი სამმართველოს უფროსი
   უფროსის პირველი მოადგილე
   უფროსის მოადგილე
2. პურფურაჟის მომარაგებისა და პურის სამმართველო
3. პურეული პროდუქტების შესყიდვისა და შენახვის საწარმოო სამმართველო
4. საწარმოო-ტექნიკური სამმართველო
5. კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველო
6. პურის სახელმწიფო ინსპექცია (სამმართველოს უფლებებით)
7. საგეგმო-საფინანსო სამმართველო
8. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
9. სატრანსპორტო განყოფილება
10. კადრების განყოფილება
11. ცენტრალური ბუღალტერია (სამმართველოს უფლებებით)
12. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან არსებობს:

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორა (სამეურნეო ანგარიშზე);

ბეღლის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო (სამეურნეო ანგარიშზე).

კომბინირებული საკვების მრეწველობის ცენტრალური ლაბორატორია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაძაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 15 მაისის № 291
დადგენილების დანართი № 2

## საშტატო განრიგი

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოსი

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **I. ხელმძღვანელობა** | |
| მთავარ სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარ სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე | 1 |
| მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| იურისკონსულტი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებული ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| მდივანი-სტენოგრაფისტი | 1 |
| ს უ ლ | 7 |
| **II. პურფურაჟის მომარაგებისა და პურის სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ეკონომისტი ფქვილის, ბურღულისა და სასურსათო მარცვლის რეალიზაციის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი კომბინირებული საკვების მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი მარცვალფურაჟის, ხარისხოვანი თესლის რეალიზაციისა გაცვლილი ოპერაციების დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი ცენტრალიზებული გადაზიდვის დარგში | 1 |
| უფროსი ინსპექტორი ტარისა და სპეცმომარაგების დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი კონტროლის დარგში | 1 |
| ეკონომისტი კომბინირებული საკვების რეალიზაციის დარგში | 1 |
| ს უ ლ | 9 |
| **III. პურეული პროდუქტების შესყიდვისა და შენახვის საწარმოო სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| სამმართველოს უფროსის მოადგილე — უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი | 1 |
| უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი | 1 |
| უფროსი აგრონომი | 1 |
| აგრონომი | 1 |

| სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| ინჟინერ-ტექნოლოგი | 1 |
| ინსპექტორი | 1 |
| ს ულ | 7 |
| **IV. საწარმოო-ტექნიკური სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარი ინჟინერი — იგივე სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| მთავარი ტექნოლოგი | 1 |
| უფროსი ინჟინერი | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტექნოქიმკონტროლის დარგში | 1 |
| მთავარი ენერგეტიკოსი | 1 |
| ინჟინერი ენერგეტიკისა და ავტომატიკის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი მოწყობილობის დარგში | 1 |
| ეკონომისტი | 1 |
| უფროსი ინჟინერი ახალი ტექნიკის, რაციონალიზაციის, გამომგონებლობისა და პნევმოტრანსპორტის დარგში | 1 |
| ს უ ლ | 10 |
| **V. კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარი ინჟინერი — უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი | 1 |
| უფროსი ზოოტექნიკოსი | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტექნოქიმკონტროლის დარგში | 1 |
| ინჟინერ-ტექნოლოგი | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი, იგივე უფროსი ინჟინერი შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში | 1 |
| ს უ ლ | 7 |
| **VI. პურის სახელმწიფო ინსპექცია (სამმართველოს უფლებებით)** | |
| ინსპექციის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი — ლაბორატორიის გამგე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| ინსპექტორი | 6 |
| ს უ ლ | 13 |
| **VII. საგეგმო-საფინანსო სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე — უფროსი ეკონომისტი საფინანსო დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი საფქვავი და კომბინირებული საკვების მრეწველობის დარგში | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| უფროსი ეკონომისტი მიმოქცევის ხარჯების დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი ოპერატიული აღრიცხვის დარგში | 1 |
| ეკონომისტი | 1 |
| უფროსი ეკონომისტი შრომის ორგანიზაციის და ნორმირების დარგში | 1 |
| ეკონომისტი | 1 |
| ს უ ლ | 8 |
| **VIII. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| მთავარი ინჟინერი — განყოფილების უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი მშენებელ-ინჟინერი | 1 |
| უფროსი ინჟინერი მოწყობილობისა და სამონტაჟო სამუშაოების დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი რკინიგზის ჩიხებისა და გზატკეცილების ხაზით | 1 |
| ს უ ლ | 5 |
| **IX. სატრანსპორტო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| უფროსი ეკონომისტი | 1 |
| უფროსი ეკონომისტი ცენტრალიზებული გადაზიდვის დარგში | 1 |
| ეკონომისტი | 1 |
| ს უ ლ | 4 |
| **X. კადრების განყოფილება** | |
| კადრების განყოფილების უფროსი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში | 1 |
| ინსპექტორი | 1 |
| ს უ ლ | 3 |
| **XI. ცენტრალური ბუღალტერია (სამმართველოს უფლებებით)** | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |
| უფროსი ბუღალტერ-ინსტრუქტორი | 1 |
| უფროსი რევიზორ-ბუღალტერი | 1 |
| უფროსი რევიზორ-ბუღალტერი | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| რევიზორ-ბუღალტერი . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| რევიზორ-ბუღალტერი . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ . . . . . . | 11 |
| **XII. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| მეურნეობის გამგე-მოლარე . . . . . . . . . . . . | 1 |
| საქმისმწარმოებელი . . . . . . . . . . . . . . | 2 |
| უფროსი მემანქანე . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| მემანქანე . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| შიკრიკი . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| დამლაგებელი . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| დამლაგებელი . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ . . . . . . | 10 |
| მ თ ლ ა დ . . . . . | 94 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 98 საოლქო, რაიონული გაზეთებისა და სტამბების საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განხორციელდეს 1965 წლის 1 აპრილიდან ხელფასის მომატება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო გაზეთების მუშაკებისათვის. გაზეთების მუშაკთა შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდეს №№ 1, 2 და 3 დანართების თანახმად.

საოლქო გაზეთების პერიოდულობა, ფორმატი და მოცულობა შენარჩუნებულ იქნას არსებულ დონეზე. გაზეთების თვითეული გამოცემის ერთ ნომერზე ჰონორარი დაწესდეს იმავე ოდენობით, როგორც იმ გაზეთებისათვის, რომლებსაც გამოსცემენ შესაბამისი ფორმატისა და პერიოდულობის გაუერთიანებელი რედაქციები.

2. დამატებითი ხარჯები 1965 წელს, რაც გამოწვეულია აღნიშნული ცვლილებებით: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 41,8 ათასი მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 31,6 ათასი მანეთი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 35,9 ათასი მანეთი დაიფაროს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტების შესრულებისაგან მიღებული სახსრების ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა 1966 წლის 1 იანვრიდან დაიწყონ პარტიის რაიკომებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ორგანოების — რაიონული გაზეთების გამოშვება რესპუბლიკის ყველა რაიონში „პრავდის" ნახევარი ფორმატის ოთხი გვერდის მოცულობით, კვირაში სამი ნომრის პერიოდულობით.

— იმ რაიონებში, რომლებსაც მოეპოვებათ შესაბამისი პოლიგრაფიული ბაზები, გაზეთების გამოცემა განხორციელდეს 1965 წლის 1 ივლისიდან, № 4 დანართის თანახმად.

— ვიდრე შეიქმნებოდეს რაიონული გაზეთები არსებული სარაიონთაშორისო გაზეთების ბაზაზე, დროებით გამოშვებულ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზეთები, № 5 დანართის თანახმად.

— შენარჩუნებულ იქნას სარაიონთაშორისო გაზეთების გამოცემის ახლანდელი წესი (შტატები, თვიური განაკვეთები, პერიოდულობა).

— იმ რაიონებში, სადაც მიმდინარე წელს არ შეიქმნება გაზეთები, მოეწყოს ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციები, № 6 დანართის თანახმად.

— ადგილობრივი რადიომაუწყებლობის თვითეულ რედაქციას უნდა ეყოლოს ერთი შტატის კორესპონდენტი — რადიოორგანიზატორი და დიქტორი (განაკვეთის ნახევარი კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით).

4. № 4 დანართის თანახმად რაიონული გაზეთების გამოცემასთან დაკავშირებით, შეწყდეს 1965 წლის 1 ივლისიდან სარაიონთაშორისო გაზეთების გამოცემა დუშეთში, მახარაძეში, წულუკიძეში, სიღნაღსა და თელავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დამტკიცდეს ტიპობრივი შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები იმ რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაკებისათვის, რომლებიც ერთ ენაზე გამოდის, № 7 დანართის თანახმად, ხოლო იმ გაზეთებისა, რომლებიც ორ ენაზე გამოდის, № 8 დანართის თანახმად.

6. დაწესდეს საავტორო ჰონორარი რაიონული გაზეთებისათვის ერთ ნომერზე 20 მანეთის ოდენობით.

7. ახალი რაიონული გაზეთების მოწყობასთან დაკავშირებით, 1965 წლის ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნობათა თანხა განისაზღვროს 296,1 ათასი მანეთის ოდენობით.

8. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და ტყიბულის საქალაქო აღმასკომს მისცენ რაიონულ გაზეთებს 1965 წლის ბიუჯეტის შესრულების წესით 245,8 ათასი მანეთი; დუშეთის, მახარაძის, სიღნაღის, თელავისა და წულუკიძის რაიაღმასკომებმა გამოიყენონ რაიონული გაზეთების დასაფინანსებლად სარაიონთაშორისო გაზეთების გამოცემის შეწყვეტისაგან მიღებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთები 42,1 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მისცეს აღნიშნულ რაიონებს ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების გადანაწილების წესით 8,2 ათასი მანეთი და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ადგილობრივ ბიუჯეტებში, № 9 დანართის თანახმად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გახსნას 1965 წლის 1 ივლისიდან რაიონული გაზეთების გამოშვების უზრუნველსაყოფად სტამბები ახმეტის, გუდაუთის, ყაზბეგის, ყვარლის, ქობულეთის, ლანჩხუთის, მარნეულის, ხულოს, ცაგერის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის, ჩოხატაურის, ონისა და საჩხერის რაიონებში.

10. გაუდიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს 1965 წელს 15 რაიონული სტამბისათვის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა 45 ათასი მანეთით, მათ შორის: III კვარტალში — 22 ათასი მანეთი, IV კვარტალში — 23 ათასი მანეთი; სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რაოდენობა III კვარტალში — 200 კაცით, 36 ათასი მანეთის ხელფასის ფონდით და IV კვარტალში — 220 კაცით, 39 ათასი მან. ხელფასის ფონდით, მათ შორის არასიობრივი (არასაშტატო) პერსონალის ხელფასის ფონდი — თითო ათასი მანეთით.

11. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დამატებით დახარჯოს 1965 წელს იმ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან, რაც კომიტეტს დაუმტკიცდა 1965 წლისათვის, 15 ათასი მანეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად ახლადშექმნილ რაიონულ სტამბებში დაზგა-დანადგარების მონტაჟისა და დემონტაჟისათვის.

12. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს მისცეს ახლადმოწყობილ რაიონულ სტამბებს საბრუნავი სახსრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს სათანადო რაოდენობის გაზეთის ქაღალდი.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეიტანონ გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 მაისი, № 293.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 1

# საშტატო განრიგი

## აფხაზეთის ასსრ საოლქო გაზეთების გაერთიანებული რედაქციის მუშაკებისა

(1965 წლის 1 აპრილიდან)

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| რედაქტორი . . . . . . . . . . . | 1 | 240 | 240 |
| გამოცემის რედაქტორის მოადგილე . . . . | 3 | 180 | 540 |
| გამოცემის პასუხისმგებელი მდივანი . . . . | 3 | 140 | 420 |
| გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე | 3 | 110 | 330 |
| განყოფილების გამგე . . . . . . . . | 4 | 120 | 480 |
| განყოფილების გამგე . . . . . . . . | 4 | 115 | 460 |
| განყოფილების გამგის მოადგილე . . . . . | 12 | 110 | 1320 |
| საკუთარი (მოსიარულე) კორესპონდენტი . . . | 3 | 105 | 315 |
| უფროსი ლიტმუშაკი . . . . . . . . | 6 | 105 | 630 |
| ლიტმუშაკი . . . . . . . . . . | 6 | 90 | 540 |
| უმცროსი ლიტმუშაკი . . . . . . . . | 4 | 80 | 320 |
| მთარგმნელი . . . . . . . . . . | 6 | 90 | 540 |
| გამომშვები . . . . . . . . . . . | 3 | 85 | 255 |
| ფოტოკორესპონდენტი . . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| მხატვარ-რეტუშორი . . . . . . . . | 1 | 75 | 75 |
| სტენოგრაფისტი . . . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| ტექნიკური მდივანი . . . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| უფროსი მემანქანე . . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| მემანქანე . . . . . . . . . . . | 8 | 65 | 520 |
| წერილების განყოფილების აღმრიცხველი . . | 1 | 65 | 65 |
| უფროსი კორექტორი . . . . . . . . | 3 | 80 | 240 |
| კორექტორი . . . . . . . . . . | 9 | 70 | 630 |
| ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| ტელეტაიპისტ-რადისტი . . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| ტექნიკოს-ტელეტაიპისტი . . . . . . . | 1 | 85 | 85 |
| თანამკითხველი . . . . . . . . . | 6 | 65 | 390 |
| ს უ ლ . . . . . | 93 | | 8800 |
| კორესპონდენტ-ორგანიზატორი . . . . . . . | 6 | 80 | 480 |
| ს უ ლ . . . . . | 99 | | 9280 |
| **გამომცემლობა** | | | |
| გამომცემლობის გამგე . . . . . . . . | 1 | 160 | 160 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . . . . | 1 | 105 | 105 |
| ბუღალტერი . . . . . . . . . . | 1 | 67–50 | 67–50 |
| მოლარე-მოანგარიშე . . . . . . . . | 1 | 60 | 60 |
| მეურნეობის გამგე . . . . . . . . | 1 | 67–50 | 67–50 |
| შიკრიკი . . . . . . . . . . . | 2 | 40 | 80 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| დამლაგებელი . . . . . . . . . . . | 2 | 42—50 | 85 |
| ვახტიორი . . . . . . . . . . . | 2 | 40 | 80 |
| სულ . . . . . | 11 | | 715 |
| მთლად . . . . . | 110 | | 9995 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 223
დადგენილების დანართი № 2

# საშტატო განრიგი

## აჭარის ასსრ საოლქო გაზეთების გაერთიანებული რედაქციის მუშაკებისა

(1965 წლის 1 აპრილიდან)

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთები | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| რედაქტორი . . . . . . . . . . | 1 | 240 | 240 |
| გამოცემის რედაქტორის მოადგილე . . . . | 2 | 180 | 360 |
| გამოცემის პასუხისმგებელი მდივანი . . . . | 2 | 140 | 280 |
| გამოცემის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე . | 2 | 110 | 220 |
| განყოფილების გამგე . . . . . . . | 4 | 120 | 480 |
| განყოფილების გამგე . . . . . . . | 4 | 115 | 460 |
| განყოფილების გამგის მოადგილე . . . . | 6 | 110 | 660 |
| საკუთარი (მოსიარულე) კორესპონდენტი . . | 2 | 105 | 210 |
| უფროსი ლიტმუშაკი . . . . . . . . | 4 | 105 | 420 |
| ლიტმუშაკი . . . . . . . . . . | 5 | 90 | 450 |
| უმცროსი ლიტმუშაკი . . . . . . . | 3 | 80 | 240 |
| მთარგმნელი . . . . . . . . . . | 4 | 90 | 360 |
| გამომშვები . . . . . . . . . . . | 2 | 85 | 170 |
| ფოტოკორესპონდენტი . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| მხატვარ-რეტუშორი . . . . . . . . | 1 | 75 | 75 |
| სტენოგრაფისტი . . . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| ტექნიკური მდივანი . . . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| უფროსი მემანქანე . . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| მემანქანე . . . . . . . . . . . | 5 | 65 | 325 |
| წერილების განყოფილების აღმრიცხველი . . | 1 | 65 | 65 |
| უფროსი კორექტორი . . . . . . . . | 2 | 80 | 160 |
| კორექტორი . . . . . . . . . . | 6 | 70 | 420 |
| თანამკითხველი . . . . . . . . . | 4 | 65 | 260 |
| ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| ტელეტაიპისტ-რადისტი . . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| ტექნიკოს-ტელეტაიპისტი . . . . . . | 1 | 85 | 85 |
| სულ . . . . . | 67 | | 6345 |
| კორესპონდენტი-ორგანიზატორი . . . . . . | 3 | 80 | 240 |
| სულ . . . . . | 70 | | 6585 |
| **გამომცემლობა** | | | |
| გამომცემლობის გამგე . . . . . . . | 1 | 140 | 140 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . . . . | 1 | 105 | 105 |
| მოლარე-მოანგარიშე . . . . . . . . | 1 | 60 | 60 |
| მეურნეობის გამგე . . . . . . . . | 1 | 67—50 | 67—50 |
| შიკრიკი . . . . . . . . . . . | 2 | 40 | 80 |

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| ჯამლაგებელი . . . . . . . . . . | 2 | 42—50 | 85 |
| კასტიორი . . . . . . . . . . | 2 | 40 | 80 |
| სულ . . . . | 10 | | 617--50 |
| მთლად . . . . | 80 | | 7202-50 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 3

# საშტატო განრიგი

## სამხრეთ ოსეთის საოლქო გაზეთების გაერთიანებული რედაქციის მუშაკებისა

(1965 წლის 1 აპრილიდან)

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდე-ბობრივი განაკვეთი | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| რედაქტორი . . . . . . . . . . | 1 | 210 | 210 |
| გამოცემის რედაქტორის მოადგილე . . . . | 2 | 160 | 320 |
| გამოცემის პასუხისმგებელი მდივანი . . . . | 2 | 140 | 280 |
| გამოცემის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე . | 2 | 110 | 220 |
| განყოფილების გამგე . . . . . . . | 4 | 120 | 480 |
| განყოფილების გამგე . . . . . . . | 4 | 115 | 460 |
| განყოფილების გამგის მოადგილე . . . . | 6 | 110 | 660 |
| საკუთარი (მოსიარულე) კორესპონდენტი . . | 2 | 105 | 210 |
| უფროსი ლიტმუშაკი . . . . . . . | 4 | 105 | 420 |
| ლიტმუშაკი . . . . . . . . | 5 | 90 | 450 |
| უმცროსი ლიტმუშაკი . . . . . . . | 3 | 80 | 240 |
| მთარგმნელი . . . . . . . . . | 4 | 90 | 360 |
| გამომშვები . . . . . . . . . . | 2 | 85 | 170 |
| ფოტოკორესპონდენტი . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| მხატვარ-რეტუშორი . . . . . . . . | 1 | 75 | 75 |
| სტენოგრაფისტი . . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| ტექნიკური მდივანი . . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| უფროსი მემანქანე . . . . . . . | 1 | 70 | 70 |
| მემანქანე . . . . . . . . . | 5 | 65 | 325 |
| წერილების განყოფილების აღმრიცხველი . . | 1 | 65 | 65 |
| უფროსი კორექტორი . . . . . . . | 2 | 80 | 160 |
| კორექტორი . . . . . . . . . | 6 | 70 | 420 |
| თანამკითხველი . . . . . . . . | 4 | 65 | 260 |
| ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| ტელეტაიპისტ-რადისტი . . . . . . | 1 | 65 | 65 |
| ტექნიკოს-ტელეტაიპისტი . . . . . . | 1 | 85 | 85 |
| სულ . . . . . | 67 | | 6275 |
| კორესპონდენტ-ორგანიზატორი . . . . . . | 3 | 80 | 240 |
| სულ . . . . . | 70 | | 6515 |
| **გამომცემლობა** | | | |
| გამომცემლობის გამგე . . . . . . . . | 1 | 140 | 140 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . . . . | 1 | 105 | 105 |
| ბუღალტერი . . . . . . . . . . | 1 | 67—50 | 67—50 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| მოლარე-მოანგარიშე . . . . . . . . . . | 1 | 60 | 60 |
| მეურნეობის გამგე . . . . . . . . . . | 1 | 67—50 | 67—50 |
| შიკრიკი . . . . . . . . . . . | 2 | 40 | 80 |
| დამლაგებელი . . . . . . . . . . . | 2 | 42—50 | 85 |
| ვახტიორი . . . . . . . . . . . | 2 | 40 | 80 |
| სულ: . . . . . . | 11 | | 685 |
| მთლად . . . . . | 81 | | 7200 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 4

# რაიონული გაზეთები,

## რომელთა გამოცემა განხორციელდება 1965 წლის 1 ივლისიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| ახმეტის | რაიონული გაზეთი | „ბახტრიონი“ | ქართულ ენაზე |
| დუშეთის | „ „ | „კომუნიზმის გზა“ | „ |
| ყაზბეგის | „ „ | „ახალი ხევი“ | „ |
| ყვარლის | „ „ | „ყვარელი“ | „ |
| ლანჩხუთის | „ „ | „კომუნისტური შრომა“ | „ |
| მარნეულის | „ „ | „ახალი მარნეული“ | ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე |
| მახარაძის | „ „ | „ლენინის დროშა“ | ქართულ ენაზე |
| მცხეთის | „ „ | „მცხეთა“ | „ |
| სამტრედიის | „ „ | „წინსვლა“ | „ |
| სიღნაღის | „ „ | „კოლმეურნე“ | „ |
| თელავის | „ „ | „ალაზნის განთიადი“ | „ |
| ცაგერის | „ „ | „კომუნიზმის სხივი“ | „ |
| წალენჯიხის | „ „ | „კომუნიზმის დროშით“ | „ |
| წითელწყაროს | „ „ | „ახალი შირაქი“ | „ |
| წულუკიძის | „ „ | „კომუნიზმის გზით“ | „ |
| ჩოხატაურის | „ „ | „კომუნიზმის განთიადი“ | „ |
| ტყიბულის | „ „ | „ტყიბული“ | „ |
| ახალქალაქის | „ „ | „პაროს“ | ქართულ და სომხურ ენებზე |
| ონის | „ „ | „განთიადი“ | ქართულ ენაზე |
| საჩხერის | „ „ | „ახალი ცხოვრება“ | „ |
| გაგრის | „ „ | „ავანგარდი“ | რუსულ და ქართულ ენებზე |
| გუდაუთის | „ „ | „კოლხოზნიკი“ | რუსულ და აფხაზურ ენებზე |
| ოჩამჩირის | „ „ | „კომუნიზმისაკენ“ | ქართულ და აფხაზურ ენებზე |
| ბათუმის | „ „ | „ოქტომბრის გზით“ | ქართულ ენაზე |
| ხულოს | „ „ | „დროშა“ | „ |
| ქობულეთის | „ „ | „ლენინელი“ | „ |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაძე.**

მუხ 98 ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 5

## სარაიონთაშორისო გაზეთები

**რომელთა გამოცემა ხორციელდება არსებული სარაიონთაშორისო გაზეთების ბაზაზე დროებით, ვიდრე შეიქმნებოდეს გაზეთები ყოველ რაიონში**

1. ამბროლაურის სარაიონთაშორისო გაზეთი
2. ახალციხის " "
3. ბოლნისის " "
4. გარდაბნის " "
5. გორის " "
6. გურჯაანის " "
7. ზესტაფონის " "
8. ზუგდიდის " "
9. თეთრიწყაროს " "
10. ცხაკაიას " "
11. წყალტუბოს " "

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

მუხ. 98



ეროვნული ბიბლიოთეკა № 3

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 6

## რაიონები, რომლებშიაც ეწყობა ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციები

1. აბაშის რაიონი
2. ბათუმის "
3. ბოგდანოვკის "
4. ვანის "
5. დმანისის "
6. ქარელის "
7. ლაგოდეხის "
8. ონის "
9. სამტრედიის "
10. თერჯოლის "
11. ხობის "
12. წალკის "
13. წითელწყაროს "
14. ჩხოროწყუს "

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 7

# საშტატო განრიგი

## იმ რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაკებისა, რომლებიც გამოდის გაზეთ „პრავდის“ ნახევარი ფორმატის 4 გვერდის მოცულობით, პერიოდულობით კვირაში სამჯერ ერთ ენაზე

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| რედაქტორი . . . . . . . . . . . . . | 1 | 150 | 150 |
| რედაქტორის მოადგილე, იგივე განყოფილების გამგე | 1 | 130 | 130 |
| პასუხისმგებელი მდივანი . . . . . . . | 1 | 115 | 115 |
| განყოფილების გამგე . . . . . . . . , | 2 | 100 | 200 |
| ლიტმუშაკი . . . . . . . . . . | 1 | 90 | 90 |
| კორექტორი . . . . . . . . . . | 2 | 65 | 130 |
| მდივანი-მემანქანე . . . . . . . . | 1 | 50 | 50 |
| მემანქანე . . . . . . . . . . . . | 1 | 50 | 50 |
| ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი) | 1 | 60 | 60 |
| ბუღალტერი . . . . . . . . . . | 1 | 60 | 60 |
| შიკრიკი-დამლაგებელი . . . . . . . . | 1 | 42–50 | 42–50 |
| შოფერი . . . . . . . . . . . . | 1 | 58 | 58 |
| სულ . . . . . | 14 | | 1135 |
| კორესპონდენტ-ორგანიზატორი . . . . . . | 1 | 80 | 80 |
| სულ . . . . . | 15 | | 1215–50 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 8

## საშტატო განრიგი

### იმ რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაკებისა, რომლებიც გამოდის გაზეთ „პრავდის" ნახევარი ფორმატის 4 გვერდის მოცულობით, პერიოდულობით კვირაში სამჯერ ორ ენაზე

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა **დასახელება** | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში მანეთობით |
|---|---|---|---|
| რედაქტორი | 1 | 150 | 150 |
| რედაქტორის მოადგილე | 1 | 130 | 130 |
| რედაქტორის მოადგილე, იგივე განყოფილების გამგე | 1 | 130 | 130 |
| პასუხისმგებელი მდივანი | 1 | 115 | 115 |
| განყოფილების გამგე | 2 | 100 | 200 |
| ლიტმუშაკი | 1 | 90 | 90 |
| მთარგმნელი | 2 | 90 | 180 |
| კორექტორი | 3 | 65 | 195 |
| მდივანი-მემანქანე | 1 | 50 | 50 |
| მემანქანე | 2 | 50 | 100 |
| ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი) | 1 | 60 | 60 |
| ბუღალტერი | 1 | 60 | 60 |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 1 | 42—50 | 42—50 |
| შოფერი | 1 | 58 | 58 |
| სულ | 19 | | 1560—50 |
| კორესპონდენტ-ორგანიზატორი | 1 | 80 | 80 |
| სულ | 20 | | 1640—50 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 99 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტანის" მთავარ სამმართველოს სისტემაში ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადებისა და საბითუმო რეალიზაციის სამმართველოს „საქხილბოსტანის" შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტანის" მთავარი სამმართველოს წინადადება და ამ სამმართველოს დაქვემდებარებაში შეიქმნას საქართველოს სსრ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადებისა და საბითუმო რეალიზაციის სამმართველო „საქხილბოსტანი" სამეურნეო ანგარიშზე.

ამასთან დაკავშირებით შემცირდეს „საქმთავარკონსერვხილბოსტანის" მთავარ სამმართველოს ცენტრალურ აპარატში 18 საშტატო ერთეული 1717 მანეთის თვიური ხელფასის ფონდით და საქკონსერვტრესტის ცენტრალურ აპარატში 9 საშტატო ერთეული 791 მანეთის თვიური ხელფასის ფონდით.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტანის" და „საქხილბოსტანის" საშტატო განრიგი № 1 და № 2 დანართების თანახმად.

„საქხილბოსტანის" მუშაკთა ხელფასის განაკვეთები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 18 მაისი, № 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 18 მაისის № 301
დადგენილების დანართი № 1

# შ ტ ა ტ ე ბ ი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავების და რეალიზაციის მთავარი სამმართველოსი („საქმთავარკონსერვხილბოსტანი“)

| | რაოდენობა |
|---|---|
| **I. ხელმძღვანელობა** | |
| 1. მთავარი სამმართველოს უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. მთ. სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე . . . . . | 1 |
| 3. მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . . . | 1 |
| 4. მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწე . . . . . | 1 |
| 5. მდივანი-მემანქანე . . . . . . . . . . . . . | 2 |
| 6. იურისკონსულტი . . . . . . . . . . . . . | 2 |
| ს უ ლ: . . . . . . . | 8 |
| **II. დამზადების განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი . . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. განყოფილების უფროსის მოადგილე . . . . . . . . | 1 |
| 3. უფროსი ინსპექტორი . . . . . . . . . . . . | 1 |
| 4. ინსპექტორი . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . . | 4 |
| **III. საბითუმო გასაღებისა და საცალო ვაჭრობის განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი . . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. უფროსი საქონლის მცოდნე . . . . . . . . . . | 1 |
| 3. ეკონომისტი . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 4. საქონელმცოდნე . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . . | 4 |
| **IV. საწარმოო-ტექნიკური განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერი . . . . . | 1 |
| 2. მთ. ინჟინერ-მექანიკოსი — განყოფილების უფროსის მოადგილე . . | 1 |
| 3. ინჟინერ-მექანიკოსი მოწყობილობის დარგში . . . . . . | 1 |
| 4. ინჟინერ-ტექნოლოგი . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . . | 4 |
| **V. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი—მთავარი ინჟინერი . . . . . . | 1 |
| 2. უფროსი ინჟინერი — განყოფილების უფროსის მოადგილე . . . . | 1 |
| 3. ინჟინერ-ეკონომისტი . . . . . . . . . . . . | 1 |
| 4. ეკონომისტი . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . . | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | რაოდენობა |
|---|---|
| **VI. სატრანსპორტო განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. ავტოტრანსპორტის ინჟინერი . . . . . . . . . . | 1 |
| 3. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერი . . . . . . . | 1 |
| 4. მემანქანე . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . | 4 |
| **VII. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. უფროსი ინჟინერი—განყოფილების უფროსის მოადგილე . . . . | 1 |
| 3. უფროსი საქონელმცოდნე . . . . . . . . . . | 1 |
| 4. საქონელმცოდნე . . . . . . . . . . . . | 1 |
| 5. ეკონომისტი . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . | 5 |
| **VIII. საგეგმო-საფინანსო განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. განყოფილების უფროსის მოადგილე (ფინანსისტი) . . . . | 1 |
| 3. უფროსი ეკონომისტი შრომისა და ხელფასის დარგში . . . | 1 |
| 4. უფროსი ეკონომისტი ფინანსისტი . . . . . . . . | 1 |
| 5. ეკონომისტი . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . | 5 |
| **IX. ცენტრალური ბუღალტერია** | |
| 1. მთავარი ბუღალტერი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. მთავარი ბუღალტრის მოადგილე . . . . . . . . | 1 |
| 3. უფროსი ბუღალტერი . . . . . . . . . . . | 1 |
| 4. რევიზორ-ბუღალტერი . . . . . . . . . . . | 2 |
| ს უ ლ: . . . . . . | 5 |
| **X. კადრების განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. უფრ. ინსპექტორი — განყოფილების უფროსის მოადგილე . . . | 1 |
| 3. ინსპექტორი . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 4. მემანქანე . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ: . . . . . . | 4 |

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

| | რაოდენობა |
|---|---|
| **XI. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. საქმისმწარმოებელი | 1 |
| 3. უფროსი მემანქანე | 1 |
| 4. მემანქანე | 2 |
| 5. შიკრიკი | 1 |
| 6. დამლაგებელი | 2 |
| 7. მსუბუქი ავტმანქანის მძღოლი | 3 |
| 8. მნე-მოლარე | 1 |
| სულ: | 12 |
| მთლად | 59 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 18 მაისის № 301
დადგენილების დანართი № 2

# შ ტ ა ტ ე ბ ი

## საქართველოს სსრ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადებისა და საბითუმო რეალიზაციის სამმართველოსი („საქხილბოსტანი")

| | რაოდენობა |
|---|---|
| **I. ხელმძღვანელობა** | |
| 1. სამმართველოს უფროსი | 1 |
| 2. სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| 3. მდივანი-მემანქანე | 1 |
| 4. კადრების უფროსი ინსპექტორი | 1 |
| 5. ინჟინერ-მშენებელი | 1 |
| 6. იურისკონსულტი | 1 |
| ს უ ლ: | 6 |
| **II. დამზადების განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. უფროსი აგრონომ-ინსპექტორი | 1 |
| 3. აგრონომ-ინსპექტორი | 2 |
| ს უ ლ: | 4 |
| **III. მომარაგებისა და გასაღების განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. უფროსი საქონელმცოდნე | 1 |
| 3. საქონელმცოდნე | 1 |
| 4. ინჟინერი ტარის დარგში | 1 |
| ს უ ლ: | 4 |
| **IV. საგეგმო-საფინანსო განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 3. უფროსი ეკონომისტი ფინანსისტი | 1 |
| 3. უფროსი ეკონომისტი ფინანსისტი | 1 |
| 4. ეკონომისტი | 1 |
| ს უ ლ: | 4 |
| **V. ცენტრალური ბუღალტერია** | |
| 1. მთავარი ბუღალტერი | 1 |
| 2. მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| 3. უფროსი ბუღალტერი | 1 |
| 4. ბუღალტერ-რევიზორი | 1 |
| ს უ ლ: | 4 |
| **VI. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | |
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. მემანქანე | 1 |
| 3. დამლაგებელი-შიკრიკი | 1 |
| 4. მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი | 1 |
| 5. მეროტატორე (სტეკლოგრაფისტი) | 1 |
| ს უ ლ: | 5 |
| მთლად | 27 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

## 100 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 აგვისტოს № 728 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 აგვისტოს № 728 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 აგვისტოს № 728 დადგენილება „ქალაქებსა და მუშათა დაბებში მუშათა და მოსამსახურეთა მეცხოველეობის ამხანაგობის მოწყობის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 18 მაისი, № 306.

## 101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტნის" დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტნის" შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 21 მაისი, № 314.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 21 მაისის № 314
დადგენილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველო — „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“, რომელიც შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 დეკემბრის № 747 დადგენილების შესაბამისად, არის სპეციალიზებული, სამეურნეო ანგარიშის რესპუბლიკური სახელმწიფო ორგანო, უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

თავის საქმიანობაში „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ ძირითადი ამოცანებია:

ა) დამზადება საბჭოთა მეურნეობებში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 თებერვლის № 76 დადგენილების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისით) და კოლმეურნეობებში და მოსახლეობისაგან შესყიდვა თესლოვანი, კურკოვანი, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული და გარეული ხილისა და კენკრისა, თხილისა და კაკლისა, ბოსტნეულისა და კარტოფილისა, შაქრის ჭარხლისა და ბაღჩეული კულტურებისა საქართველოს სსრ ყველა რაიონში;

ბ) ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გადამუშავება;

გ) ახალი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციის საბითუმო ვაჭრობა დაწესებული ფონდებით, აგრეთვე ამ პროდუქტების მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდისათვის;

დ) კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შემოზიდვა რესპუბლიკაში სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების ფონდებით;

ე) ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და კონსერვის საცალო ვაჭრობა ქალაქ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, გაგრაში, წყალტუბოში, სოხუმსა და ბათუმში სპეციალიზებული (საფირმო) მაღაზიების მეშვეობით, აგრეთვე ამ პროდუქტების წვრილსაბითუმო ვაჭრობა ქალაქ თბილისსა და რუსთავში.

№ 3 ეროვნული

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარ სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტანს“ სათავეში უდგას მთავარი სამმართველოს უფროსი. მთავარი სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ უფროსი ხელმძღვანელობს მთავარ სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების მთელ საქმიანობას და ამის შესაბამისად:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ბ) განიხილავს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტებს დადგენილებებისა და განკარგულებებისას საქართველოს სს რესპუბლიკაში ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების გაფართოების, მათი გადამუშავებისა და რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ;

გ) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, მათს შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ უფროსის მიერ გამოცემული ბრძანებები და ინსტრუქციები ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საკითხებზე სავალდებულოა მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა, საწარმოსა და სამეურნეო ერთეულისათვის;

დ) დაამტკიცებს დებულებებს მთავარ სამმართველოს დარგობრივი, ფუნქციონალური სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, მთავარ სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ერთეულების დებულებებსა და წესდებებს;

ე) დანიშნავს და დაითხოვს მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე მთავარი სამმართველოს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს;

ვ) პერსონალურ განაკვეთებს დაუნიშნავს მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატისა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს პერსონალური განაკვეთების იმ ლიმიტებისა და ოდენობის ფარგლებში, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დააწესებს;

მუხ. 101/
ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) გააუქმებს მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს გეგმების შედგენას საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

შეიმუშავებს საკონსერვო და ხილბოსტნეულის პროდუქციის დამზადების, სამრეწველო გადამუშავებისა და რეალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის, კაპიტალური მშენებლობის გეგმების, შრომის გეგმების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საფინანსო გეგმების საფუძველზე, რომლებსაც მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოები და ორგანიზაციები შეადგენენ;

ი) დადგენილი წესით განიხილავს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მიხედვით და დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე ახალი მშენებლობების ან საწარმოების სატიტულო სიებს (ნუსხებს);

კ) დადგენილი წესით დაამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში შეცვლის მათს საპროექტო დავალებებს და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს სამშენებლო ობიექტების მიხედვით;

ლ) მიიღებს ზომებს მშენებლობის ვადების შემცირებისა, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე საპროექტო სამუშაოთა გაიაფებისა და გაუმჯობესებისათვის, ტიპობრივი პროექტების მაქსიმალურად გამოყენებისათვის;

მ) დადგენილი წესით შექმნის ცენტრალიზებულ ფონდებს და განაგებს მათ;

ნ) განსაზღვრავს კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების მოცულობასა და წყაროებს მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის;

ო) სისტემატურ კონტროლს გაუწევს იმას, რომ სამმართველოებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა შეასრულონ სამეურნეო გეგმები, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი, დაიცვან სახელმწიფო დისციპლინა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, სწორად გამოიყენონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ძირითადი და საბრუნავი ფონდები;

პ) მისცემს დასკვნებს ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტების შესახებ და მონაწილეობას მიიღებს ზემოაღნიშნული პროდუქტების შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების პროექტების შემუშავებაში;

ჟ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს ან დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხა-

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯვის ნორმებს, საწარმოო მარაგის ნორმებს, მიიღებს ზომებს მათ დასანერგავად წარმოებასა და მშენებლობაში, კონტროლს გაუწევს დამტკიცებული ნორმების შესრულებას;

რ) მიიღებს ზომებს, რათა ამაღლდეს სამმართველოებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში ეკონომიური მუშაობის დონე, გაუმჯობესდეს წარმოების, ნორმირებისა და შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია, გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, მიღწეულ იქნას ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობა; შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, აგრეთვე განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში და ამაღლდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა რენტაბელობა;

ს) მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ტ) ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებას, გააანალიზებს ბალანსებს და დადგენილი წესით წარადგენს შეჯამებულ საბუღალტრო ანგარიშებს „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ ყველა დარგის მიხედვით.

საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე განიხილავს დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და მიიღებს საჭირო ზომებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;

უ) ჩაატარებს მთავარი სამმართველოს სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო საკუთრების დაცვა-შენახვა მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

ფ) ხელმძღვანელობას გაუწევს მთავარი სამმართველოს სისტემისათვის კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

ქ) შეიმუშავებს მთავარი სამმართველოს ორგანიზაციებსა და საწარმოებში ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებებს;

ღ) მოამზადებს გამოსაცემად ლიტერატურას ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავების, რეალიზაციის, ტრანსპორტირების, შენახვის და სხვა საკითხებზე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ „მთავარკონსერვხილბოსტანს“ უფლება ენიჭება:

ა) შეიტანოს საჭიროების დროს ცვლილებანი წლიურ და კვარტალურ სამეურნეო გეგმებში იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც დაამტკიცა მთავარმა სამმართველომ ისე, რომ უცვლელი დარჩეს მთლიანად მთავარი სამმართველოს ხაზით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული მაჩვენებლები;

ბ) შექმნას რეზერვი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საფინანსო დახმარების გასაწევად;

მუხ. 101
ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების ხარჯზე, მთავარი სამმართველოს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის 3 პროცენტის ფარგლებში;

— ზეგეგმითი მოგების ხარჯზე (იმ ოდენობით, რაც დაწესებულია მოქმედი კანონმდებლობით);

გ) გადაანაწილოს საჭირო შემთხვევებში ნედლეულისა და მასალების ფონდები და შეიტანოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დამტკიცებულ გეგმებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დაზუსტებანი;

დ) აძლიოს დავალებანი და განახორციელოს კონტროლი დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ფონდების რეალიზაციისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ სწორად და დროულად მიეცეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი მთავარი სამმართველოს სისტემის დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს;

ე) შექმნას, გარდაქმნას და გააუქმოს დადგენილი წესით მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები, აგრეთვე შეცვალოს საჭირო შემთხვევებში მათი დაქვემდებარება;

ვ) აძლიოს დავალებანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს იმის შესახებ, რომ ჩამოსწერონ სახსრები მთავარი სამმართველოს სისტემის იმ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ანგარიშებიდან, რომლებიც დროზე არ ეწევიან სახსრების გადარიცხვას გეგმით გათვალისწინებული ცენტრალიზებული ღონისძიებებისათვის.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარ სამმართველოში შეიქმნება კოლეგია მთავარი სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის გაუმჯობესებისა და განვითარების, დაქვემდებარებული დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის ძირითად საკითხებს, მთავარი სამმართველოს უფროსის უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს მთავარი სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით.

იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრა უთანხმოება მთავარი სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის, მთავარი სამმართველოს უფროსი ცხოვრებაში

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აც-ნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონ-სერვხილბოსტნის“ აპარატის სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა — მთავარი სამმართველოს უფროსი იმ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია მთავარი სამმართველოსათვის, ამასთან დაცულ უნდა იქნას თანამდებობრივი განაკვეთების სქემები.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარ სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტანს“ აქვს შტამპი და ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

## 102 „პოლიგრაფიული საწარმოების გახსნის და მათი საქმიანობის კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 22 ივლისის № 1111 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 242 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 სექტემბრის № 800 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „პოლიგრაფიული საწარმოების გახსნის და მათი საქმიანობის კონტროლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 22 ივლისის № 1111 დადგენილების 1 პუნქტის წინარე — უკანასკნელი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პოლიგრაფიული საწარმოების გახსნის ნებართვას გასცემენ მილიციის ორგანოები იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სანქცია.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 242 დადგენილებით დაწესებულია, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემის შეჯამებულ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური განათლების სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის № 533 დადგენილების მე-15 პუნქტით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 28 მაისი, № 320.

## 103 საერთო სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გამწვანების სამუშაოების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ

საერთო სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გამწვანების სამუშაოების მოწესრიგებისა და მისი გეგმაზომიერად წარმართვის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1966 წლიდან გზატკეცილების გამწვანებისა და არსებულ მწვანე ნარგავთა მოვლის სამუშაოები დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს და 1966 წლიდან ამ სამმართველოში შეიქმნას გზების გამწვანების განყოფილება.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1966 წლის ბიუჯეტით გაითვალისწინოს გამწვანების განყოფილებისათვის დამატებით 5 საშტატო ერთეული.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გამწვანების სამუშაოებისათვის 1966 წელს საჭირო თანხებისა და საშუალებათა გამოსაყოფად დასაბუთებული მოთხოვნა, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმასა და ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს გამწვანებული გზის ნარგაობა 1965 წლის ბოლოს გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა 15 დღის ვადაში შეამოწმოს ლოჭინისხევი-ჩალაუბანი-ნუკრიანის გზატკეცილის გასწვრივ დარგული კაკლის ნერგების დაავადება და

№/3 ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა რეკომენდაციები გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს სათანადო ზომების მისაღებად.

5. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 7 სექტემბრის № 575 დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს ნაცვლად დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 2 ივნისი, № 341.

## 104 რესპუბლიკაში ვეტერინარული ქსელის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

(ამონაკრები)

რესპუბლიკაში ზოგიერთი რაიონის შექმნასთან და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას რესპუბლიკის ყველა რაიონში ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები. აღნიშნული სადგურების შტატები დაკომპლექტდეს იმ ტიპობრივი შტატების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 375 განკარგულებით.

2. გაუქმდეს მეორე ადმინისტრაციული რაიონის ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები და უბნის ვეტერინარული სამკურნალოები, გარდა ადიგენის, ასპინძის და შუახევის უბნის ვეტერინარული სამკურნალოებისა.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ვეტერინარულ დაწესებულებათა სტრუქტურა და ქსელი, № 1 დანართის თანახმად, და საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარიული სადგურების ტიპობრივი შტატები, №№ 2 და 3 დანართების თანახმად.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 375 განკარგულების დანართები №№ 1, 3, 13 და 14.

5. ახალქალაქის რაიონის სეზონურ-სამომთაბარო ვეტუბანი გადაეცეს ორჯონიკიძის რაიონს, ზუგდიდის მუდმივ-სამომთაბარო ვეტუბანი — ფოთის საქალაქო ვეტერინარულ-სანიტარულ სადგურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გადაკეთდეს ამბროლაურის, ბორჯომის, გორის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მარნეულის, მახარაძის, მცხეთის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, ცაგერის, ცხაკაიას, ქუთაისის და გუდაუთის რაიონული ვეტლაბორატორიები ხორცრძისა და კვების საკონტროლო სადგურებით სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიებად ხორცრძისა და კვების საკონტროლო სადგურებით.

7. გადაყვანილ იქნან ჭიათურის, ტყიბულისა და ფოთის ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე.

8. ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი მოხდეს პერსონალის იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია 1965 წლის ბიუჯეტით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული ქსელის შესანახად.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ცალკეული რაიონების ბიუჯეტებსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო გეგმაში, №№ 4 და 5 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 4 ივნისი, № 346.

# სტრუქტურა და ქსელი

## საქართველოს სსრ ვეტერინარული დაწესებულებებისა

| 1 | ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები დეზრაზმებით და დიაგნოსტიკური კაბინეტებით | მათ შორის: დეზრაზმები | მათ შორის: დიაგნოსტიკური კაბინეტები | უბნის ვეტერინარული საავადმყოფოები | ვეტერინარული უბნები | სასაზღვრო ვეტერინარული უბნები | საკონტროლო ვეტერინარული უბნები ბაზრებზე | [illegible] ვეტპუნქტები | ვეტერინარული პუნქტები | რესპუბლიკური და საოლქო ვეტერინარული ლაბორატორიები | მათ შორის: ხორცის და რძის საკონტროლო სადგურები | მათ შორის: დეზრაზმები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| აფხაზეთის ასსრ | 5 | 5 | — | — | 25 | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — |
| აჭარის ასსრ | 4 | 4 | — | 1 | 14 | 5 | 1 | 1 | — | 1 | — | — |
| სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი | 3 | 3 | 1 | — | 17 | — | — | 1 | — | 1 | — | — |
| სულ ასს რესპუბლიკებსა და ავტ. ოლქში | | | | | | | | | | | | |
| ქალაქები | | | | | | | | | | | | |
| თბილისი | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 2 | 2 |
| ქუთაისი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ფოთი | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — |
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 12 ივნისი, № 374.

## 108 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილებით სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათების იმ სხვა ინვალიდებზე გავრცელების შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 მაისის № 401 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 201 დადგენილებით სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათები სხვა ინვალიდებზე სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების გამო, რაც მიღებულია სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 12 ივნისი, № 377.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

# 109 ყურძნის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესება მევენახეობის განვითარებითა და სახელმწიფოსათვის ყურძნის მთელი სასაქონლო პროდუქციის მიყიდვით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, 1965 წლიდან დაწყებული, იმ ყურძნის შაქრიანობის კონდიციები და შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები ჯიშების ამპელოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ორი კვირის ვადაში დაამტკიცოს ყურძნის რესპუბლიკური ტექნიკური პირობები ტექნოლოგიური გადამუშავებისათვის, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა გადიდდეს მოთხოვნები ყურძნის ხარისხისადმი.

შენარჩუნებულ იქნას მოქმედი შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები შემდეგი ჯიშის ყურძნისა: ოცხანური საფერე, ავასირხვა, რაჭული თეთრა, ცოლიკოური ნახევრად ტკბილი ღვინოებისათვის, აგრეთვე სუფრის ყურძნისა (თავრიზი, კარაბურნუ და სხვა სუფრის ჯიშები) და ჰიბრიდული ჯიშებისა.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ფასები ვრცელდება იმ ყურძენზე, რომელსაც სახელმწიფო შეისყიდის კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ვენახების მოვლის ძირეულად გაუმჯობესებისათვის იმ ანგარიშით, რომ უკვე 1965 წელს იქნას მიღწეული ყურძნის მოსავლიანობის და საერთო მოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება და უზრუნველყონ შესყიდვის გეგმის უცილობლივ შესრულება.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 1965 წლის 20 ივნისამდე შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ღვინის მასალებისა და ღვინის საბითუმო ფასებში (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წარდგენით) იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ღვინის მრეწველობის საწარმოების რენტაბელობა 4,5-5 პროცენტის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 ივნისი, № 378.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 ივნისის № 378
დადგენილების დანართი

## ყურძნის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები

(მანეთობით საბაზისო შაქრიანობის ერთ ტონა ყურძენში)

| | საბაზისო შაქრიანობა (% %-ად) | შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასი |
|---|---|---|
| **I. ტექნიკური ჯიშები** | | |
| რქაწითელი: | | |
| კახეთის რაიონებში | 19 | 450 |
| სხვა რაიონებში | 19 | 430 |
| საფერავი: | | |
| ნახევრად ტკბილი ღვინოებისათვის | 23 | 650 |
| სუფრის ღვინოებისათვის | 19 | 520 |
| მწვანე (კახეთის რაიონებში) | 19 | 520 |
| ხიხვი | 20 | 600 |
| თავკვერი | 18 | 400 |
| კაბერნე | 19 | 560 |
| ცოლიკოური: | | |
| ნახევრად ტკბილი ღვინოებისათვის ცაგერის, გაგრის და გუდაუთის რაიონებში | 22 | 490 |
| დანარჩენ რაიონებში | 19 | 410 |
| კაჭიჭი | 19 | 400 |
| კრახუნა | 20 | 530 |
| ძველშავი | 19 | 340 |
| ოცხანური საფერე | 19 | 400 |
| მგალობლიშვილი | 19 | 340 |
| ალადასტური | 22 | 570 |
| ავასირხვა | 19 | 350 |
| იზაბელა | 16 | 270 |
| ალექსანდროული და მუჯურეთული | 23 | 630 |
| რაჭული თეთრა | 21 | 490 |
| უსახელაური | 23 | 650 |
| ოჯალეში | 21 | 540 |
| ჩხავერი | 22 | 610 |
| ციცქა სუფრის ღვინოების ზონებში | 19 | 430 |
| ალიგოტე | 18 | 500 |
| **II. დანარჩენი ტექნიკური ჯიშები** | 18 | 320 |
| ციცქა შამპანური ღვინოების ზონებში (საჩხერის, ჩოხატაურის, ორჯონიკიძის რაიონები) | 17 | 430 |
| ჩინური | 17 | 500 |
| პინო | 17 | 620 |
| გორული მწვანე (ქვიშხური) | 17 | 470 |
| შავკაპიტო | 17 | 390 |
| **III. სუფრის ჯიშები** | | |
| თავრიზი | 17—18 | 400 |
| კარაბურნუ | 17—18 | 400 |
| დანარჩენი სუფრის ჯიშები | 17—18 | 360 |
| **IV. ჰიბრიდული ჯიშები** | 16 | 150 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური ჯიშების ყურძნისათვის, რომელიც შეიცავს შაქარს 25 პროცენტამდე, გაიცეს შესასყიდი ფასის დანამატები 6 პროცენტის ოდენობით ყურძენში (ტკბილში) შაქრის შემცველობის ყოველ პროცენტში შაქრიანობის დაწესებული კონდიციების გადამეტებით. ტექნიკური ჯიშების ყურძნისათვის, რომელიც შეიცავს 25 პროცენტზე მეტ შაქარს, გაიცეს შესასყიდი ფასის დანამატები 10 პროცენტის ოდენობით ყურძენში (ტკბილში) შაქრის შემცველობის ყოველ პროცენტში 25 პროცენტის გადამეტებით.

ტექნიკური ჯიშების ყურძნისათვის, რომელშიაც შაქრის შემცველობა შემცირებულია, მოხდეს შესასყიდი ფასის ჩამოკლება 6 პროცენტის ოდენობით ყურძენში (ტკბილში) დაწესებულ კონდიციებამდე დანაკლისი შაქრის ყოველ პროცენტში.

შამპანური ჯიშებისათვის ყურძნის მჟაობა დაწესდება 7-10 პროცენტის ოდენობით.

ტექნიკური ჯიშების ყურძენი, რომელიც შეიცავს 10-დან 20 პროცენტამდე გაჭყლეტილ, ავადმყოფობით ან მავნებლებით დაზიანებულ მარცვლებს, ანაზღაურდეს ყურძნის შესასყიდი ფასის 20 პროცენტის ჩამოკლებით, ხოლო ის ყურძენი, რომელიც შეიცავს დაზიანებული მარცვლის 20 პროცენტზე მეტს, — 40 პროცენტის დაკლებით.

II ხარისხის სუფრის ყურძენი ანაზღაურდეს პირველი ხარისხის ყურძნის შესასყიდ ფასში 20 პროცენტის დაკლებით. სუფრის ყურძენი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, შეიძლება მიღებულ იქნას გადასამუშავებლად პირველი ხარისხის ყურძნის შესასყიდი ფასის 30 პროცენტის დაკლებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

მუხ. 110
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 110 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 იანვრის № 7 დადგენილების დამატების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 652 დადგენილებით, შემდეგი დამატებანი:

1. მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი, რომელიც მოთავსებულ იქნას პირველი აბზაცის შემდეგ:

„საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებად შეიძლება იყვნენ აგრეთვე იმ შენობათა მესაკუთრეები, რომლებიც აღებულ უნდა იქნან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განაცხადებენ სურვილს მიიღონ კოოპერაციულ სახლში საცხოვრებელი ფართობი, ნაცვლად ასაღებ სახლში არსებული საცხოვრებელი ფართობისა, აგრეთვე ბინების დამქირავებლები, რომლებიც ამ სახლებში ცხოვრობენ არა ნაკლებ ერთი წლისა“.

2. მე-14 პუნქტს დაემატოს მესამე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„კოოპერაციული სახლის მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა შეიცავდეს იმ ბინების ღირებულებას, რომლებიც ეძლევათ ამ წესდების მე-6 პუნქტის მე-2 აბზაცში მოხსენებულ პირებს და დაიფაროს კოოპერატივის საერთო ფონდიდან. ამ შემთხვევებში აღნიშნული პირებისათვის მისაცემი საცხოვრებელი ფართობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გაფორმდება საპაიო შესატანის სახით“.

3. 24-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„იმ შენობათა მესაკუთრეები, რომლებიც აღებულ უნდა იქნან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით, აგრეთვე დამქირავებლები, რომლებიც ამ სახლებში ცხოვრობენ არა ნაკლებ ერთი წლისა, მიიღებიან კოოპერატივის წევრებად საპაიო შესატანების გადაუხდელად“.

4. 33-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„იმ პირებს, რომლებიც ასაღებ სახლებში ცხოვრობენ დამქირავებელთა პირობებში და მიღებული არიან კოოპერატივის წევრებად საპაიო შესატანების გადაუხდელად, კოოპერატივიდან გამოსვლის (გარიცხვის) დროს საპაიო შესატანი არ მიეცემათ.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 18 ივნისი, № 384.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 111 ზოგიერთ სასკოლო და კულტურულ დაწესებულებისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე ხაშურის, გორის, ზესტაფონის, ამბროლაურისა და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომთა შუამდგომლობა და მიეკუთვნოთ:

1. გუდაუთის რაიონის პრიმორიეს მე-2 სომხურ საშუალო სკოლას — სტეფანე შაუმიანის სახელი;

2. გულრიფშის სკოლა-ინტერნატი გადაკეთდეს დრანდის სკოლა-ინტერნატად და მიეკუთვნოს გამოჩენილი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელი;

3. ხაშურის რაიონის დაბა სურამის 8-წლიან სკოლას — ცნობილი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას სახელი;

4. გორის რაიონის სოფ. თორტიზის დაწყებით სკოლას — ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ თინა იოსებიძის სახელი;

5. ზესტაფონის რაიონის ქ. ზესტაფონის კულტურის სახლს — რესპუბლიკის სახალხო არტისტის უშანგი ჩხეიძის სახელი;

6. ამბროლაურის რაიონის დაბა ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს — სერგო ორჯონიკიძის სახელი;

7. ქ. სიღნაღის მუსიკალურ სკოლას — გამოჩენილი ქართველი მომღერლის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვანო სარაჯიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 18 ივნისი, № 386

## 112 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება; გადიდდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა და გაფართოვდა საყოფაცხოვრებო საწარმოთა ქსელი, დაინერგა გასაწევი მომსახურების ახალი ფორმები და სახეობანი, ამაღლდა მომსახურების კულტურა, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი სოფელ ადგილებში მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილებიდან „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და ამ საკითხზე მიღებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომი დადგენილებებიდან.

ჯერ კიდევ დაბალია სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონე, საკმაოდ არ არის შემოღებული პრაქტიკაში სხვადასხვა სახის მომსახურების გამწევი გამსვლელი ბრიგადების მუშაობა, რესპუბლიკის დიდ ქალაქებში დღემდეც არ არის შექმნილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებული საწარმოები მიმღები პუნქტების ფართო ქსელით.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობის საქმე. წლითიწლობით არ სრულდება მათი მშენებლობის გეგმები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს:

ა) ყოველმხრივ განიხილონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობა და უახლოეს დროში განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის მომსახურების დონისა და კულტურის ამაღლებას;

ბ) გააფართოონ ყოფაცხოვრების სამსახურის ქსელი, შექმნან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, წვრილი სახელოსნოების გამსხვილების ხარჯზე, სპეციალიზებული და მექანიზებული ფაბრიკები და სახელოსნოები მიმღები პუნქტების ფართო ქსელით, ხოლო რაიონულ ცენტრებში — პავილიონები მოძრავი სახელოსნოებითა და მიმღები პუნქტებით სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწიოს ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას;

გ) მიიღონ ზომები საწარმოთა რენტაბელობის გადიდებისათვის და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საყოფაცხოვრებო მომსახურების თვითღირებულების შემცირება.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმის პროექტის შედგენისას ღონისძიებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის სათანადო გადიდება და საჭირო მასალების, მოწყობილობის, მანქანებისა და მექანიზაციის საშუალებათა გამოყოფა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, განიხილოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების შემდგომი თავმოყრა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების გამგებლობაში, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოების გათავისუფლება მათთვის შეუფერებელი ფუნქციების შესრულებისაგან.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მოაწყოს 1965 წელს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით, რესპუბლიკის დიდ ქალაქებში სპეციალიზებული მაღაზიები, საიდანაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციები იყიდიან მასალებს, ინსტრუმენტებს, ფურნიტურას, სათადარიგო ნაწილებსა და დეტალებს, რომლებიც საჭიროა მოსახლეობის შეკვეთების შესასრულებლად, ამასთან შეიტანოს ამ საქონლის გაყიდვის მოცულობა საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში.

დაეკისროთ აღნიშნულ მაღაზიებს ყოველგვარი ისეთი საქონლით ვაჭრობა, რომელთა მიყიდვა საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, კოლმეურნეობების ჩათვლით, ნებადართულია უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

5. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) შექმნან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებში სარემონტო-სამშენებლო უბნები (ბრიგადები), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოთა მოცულობა 150 ათას მანეთზე მეტია წელიწადში — სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბნები, რომლებიც შეასრულებენ მოსახლეობის შეკვეთებს საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობის შესახებ;

ბ) 1965 წლის 1 ოქტომბრამდე დაუბრუნონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებს მათი კუთვნილი სადგომები, რომლებიც სხვა ორგანიზაციებს უჭირავთ.

6. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესება მათ მიერ გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გადიდებითა და მისი ხარისხის გაუმჯობესებით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკები შრომის ანაზღაურებაზე ამონაგების პროცენტულად და დაწესდეს სამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშათა, ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების სისტემა.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილების თანახმად:

ამონაგების პროცენტულად მუშაკთა შრომის ანაზღაურების წესს, მათ დაჯილდოებას, ამონაგების პროცენტულად იმ ანარიცხების მაქსიმალური ოდენობის დადგენას, რომლებიც შრომის ანაზღაურებას ხმარდება, და ანაზღაურების გარანტირებულ დონეს დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით;

ამონაგების პროცენტულად ანაზღაურების კონკრეტულ ოდენობას საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაობის პირობების გათვალისწინებით დააწესებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

1965 წლიდან დაწყებული, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ფონდი შეიქმნება ისეთი საქმიანობისაგან მიღებული ფაქტიური მოგების 4 პროცენტის ოდენობით, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან მოსახლეობის შეკვეთებით. საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმიან-საზარალო საწარმოების ფონდში ანარიცხები იწარმოებს მომსახურების თვითღირებულების შემცირებისაგან მიღებული გეგმური და ზეგეგმითი ეკონომიის თანხებიდან.

8. იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნან მუშაკები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების ორგანიზაციასა და დანერგვაში, ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, 1965 წლიდან დაწყებული, შექმნას ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად ცენტრალიზებული ფონდი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების დაგროვებათა ერთი პროცენტის ოდენობით, რომლებიც წარიმართება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათი გაფართოებისათვის.

იმ პრემიების ოდენობა, რაც ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე მიეცემა ერთ მუშაკს, არ უნდა აღემატებოდეს კვარტალში მისი თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 40 პროცენტს.

9. ნება დაერთოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატე-

№ 3/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ხარჯონ, 1965 წლიდან დაწყებული, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა საცხოვრებელი სახლების და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობისათვის იმ დაგროვების 20 პროცენტამდე, რაც მიღებულია მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევისაგან.

10. ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს გამოიყენონ ამონაგების ნაწილი გადაუდებელი ხარჯებისათვის, დაწესებული ნორმის გადამეტებით, იმისათვის, რომ შეიძინონ საცალო მაღაზიებში ნაღდ ანგარიშზე ინსტრუმენტები, სათადარიგო ნაწილები, ძაფი, საბოხტეები, ფოლაქი, საღებავები, ლაქები, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური საქონელი, ფოტოქაღალდი და მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად საჭირო სხვა მასალები, არა უმეტეს 15 მანეთისა ერთდროულად, იმ წესითა და პირობებში, რომლებსაც დაამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დამატებით იქნან მომზადებული, 1966 წლიდან დაწყებული, კვალიფიციური მუშები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის, არსებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების უკეთ გამოყენების ხარჯზე.

ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს გადასცენ საქალაქო და სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს უსასყიდლოდ მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტი და მასალები.

12. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა გამოყონ ქალაქებსა და მუშათა დაბებში ახლად აგებულ საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის სადგომები, ამასთან გამოიყენონ აღნიშნული მიზნებისათვის იმ კაპიტალურ დაბანდებათა 0,4 პროცენტამდე, რომლებიც საბინაო მშენებლობისათვის გამოიყოფა.

ეცნობოთ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილებით სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ გამოყონ ქალაქებისა და მუშათა დაბების ახლად აგებულ სახლების პირველ სართულებში სადგომები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნებისათვის იმ კაპიტალურ დაბანდებათა 0,4 პროცენტამდე, რომლებიც საბინაო მშენებლობისათვის გამოიყოფა.

უფლება მიენიჭოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს მოახდინონ კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიტალურ დაბანდებათა ცენტრალიზაცია, რომლებიც გამოიყოფა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა 0,4 პროცენტის ოდენობით, რაც ხმარდება საბინაო მშენებლობას, იმ კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით, რომლებიც ამ მიზნებისათვის გამოეყოფათ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებს.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან ერთად, ყოველწლიურად გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის გეგმით საბინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა 0,4 პროცენტის განაწილება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შორის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობისათვის, გარდა კაპიტალური დაბანდებებისა, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს გამოეყოფათ.

13. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს განახორციელოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი საწარმოების მშენებლობა და მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევისაგან მიღებული ზეგეგმითი დაგროვების ხარჯზე და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დამტკიცებული ზღვრული მოცულობის გადამეტებით.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას, მიიღონ ზომები ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ 1965 წლის 1 სექტემბრისათვის მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფაცხოვრების სამსახურის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

15. ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს ჩაატაროს 1965 წლის პირველ ნახევარში შალის, აბრეშუმის ქსოვილებისა და საგალანტერიო ნაწარმის ერთდროული ჩამოფასება, რომლებიც უკვე ჩამოფასებულია საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებში, საერთო თანხით არა უმეტეს 200 ათასი მანეთისა.

დაწესდეს, რომ აღნიშნული ჩამოფასების თანხა მიეკუთვნება ამ საწარმოების მოგებათა ანგარიშს, რომლებიც რჩება მათი გაფართოებისათვის, ხოლო ფასის შემცირება არ უნდა იყოს იმ ფასებზე ნაკლები, რაც დაწესებულია სავაჭრო ქსელში ჩამოფასებული ანალოგიური საქონლისათვის.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

16. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ 1965 წლის განმავლობაში განიხილოს მოსახლეობისათვის გასაწევი საყოფაცხოვრებო მომსახურების ამჟამად გამოყენებული ტარიფების მოწესრიგების საკითხი.

17. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს ქვითრებისა და სამუშაო ფურცლების ცენტრალიზებული დამზადება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის, დაადგინოს მათი, როგორც მტკიცე აღრიცხვის დოკუმენტების, შენახვისა და აღრიცხვის წესი და მიიღოს ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მოსახლეობის შეკვეთების შესრულებას, ქვითრების გაუფორმებლად.

18. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს 1965-1968 წლებში თეთრეულის რეცხვისა და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის 18 საწარმოს მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა.

აღნიშნული საწარმოების მშენებლობა განხორციელდეს საყოფაცხოვრებო და კომუნალური საწარმოების მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებით, დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროებისა და ბანკის სესხთა გამოყენების ხარჯზე.

19. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, როგორც გამონაკლისი, განახორციელოს 1965 წლის დამლევამდე თეთრეულის რეცხვისა და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის იმ საწარმოთა ტიპობრივი პროექტების მორგება მშენებლობის უბნებზე, რომლებიც 1966 წელს უნდა აშენდეს

20. დაევალოთ დანართში ჩამოთვლილი ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს დროზე გამოუყონ მიწის ნაკვეთები საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო და რაიონულ სამმართველოებს თეთრეულის რეცხვისა და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის საწარმოთა მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 23 ივნისი, № 392.

მეხსიერების ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 23 ივნისის № 392
დადგენილების დანართი

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა

## საქართველოს სს რესპუბლიკაში თეთრეულის რეცხვისა და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის საწარმოების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისა 1965-1968 წლებისათვის

| | სულ | მათ შორის წლები | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1966 | 1967 | 1968 |
| თბილისი | 2 | — | 1 | 1 |
| ბათუმი | 1 | 1 | — | — |
| ფოთი | 1 | — | 1 | — |
| ცხინვალი | 1 | — | 1 | — |
| გორი | 1 | — | — | 1 |
| რუსთავი | 1 | 1 | — | — |
| ტყვარჩელი | 1 | -- | — | 1 |
| ტყიბული | 1 | — | — | 1 |
| ჭიათურა | 1 | — | 1 | — |
| ახალციხე | 1 | — | 1 | — |
| გაგრა | 1 | — | — | 1 |
| თელავი | 1 | — | 1 | — |
| ზუგდიდი | 1 | — | 1 | — |
| ზესტაფონი | 1 | — | — | 1 |
| მახარაძე | 1 | — | 1 | — |
| ცხაკაია | 1 | — | — | 1 |
| წყალტუბო | 1 | — | — | 1 |
| ს უ ლ | 18 | 2 | 8 | 8 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 113 „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების" გამოცემის შესახებ

ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის დარგში დამტკიცებული ნორმების გამოქვეყნებისა და თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მათი დამკვიდრების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს პერიოდულად მოამზადოს გამოსაცემად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მასალები წელიწადში 20 პირობითი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, განაკვეთების სახით.

2. დაწესდეს, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მასალები გამოიცემა ხელმოწერით.

მასალების გამოცემა და ხელმოწერის ორგანიზაცია დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს.

გამოცემის ტირაჟი განისაზღვროს ხელმოწერის შედეგების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 26 ივნისი, № 399.

მუხ. 114
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

## 114 განკარგულება № 565-გ

**1965 წლის 23 აპრილი**

ქ. თბილისი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 297 დადგენილება „სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 170 პუნქტის დამატების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სოციალური უზრუნველყოფის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, ტრესტ საქთევზმრეწვს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე.**

ასლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 297

**1965 წლის 13 აპრილი**

მოსკოვი, კრემლი

**სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 170 პუნქტის დამატების შესახებ**

„სახელმწიფო პენსიების კანონში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 6 მარტის ბრძანებულებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაემატოს 170 პუნქტს დებულებისა სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აგვისტოს № 1044 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ., 1957 წ., № 1, მუხ. 1; 1960 წ. № 6, მუხ. 38) შემდეგი აბზაცი:

„III ჯგუფის ინვალიდობისათვის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ჭრილობის, კონტუზიის, ან სახიჩრობის გამო, რაც მიღებულია სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისდროს ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გამო, რომლებიც მუშაობენ მუშებად ან მოსამსახურეებად ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლებიან კოლმეურნეობის წევრებად, პენსია, რაც მათ ეძლევათ, ყველა შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ინვალიდობის პენსიის დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები".

2. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 1965 წლის 1 მაისიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

## 115 განკარგულება № 597-გ

**1965 წლის 30 აპრილი**

ქ. თბილისი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 აპრილის № 318 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში ბრუნვის იმ გადასახადის ანარიცხების ოდენობის შესახებ, რომელიც შემოდის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი ნედლეულისა და მასალებისაგან დამატებითი დავალებებით დამზადებული საქონლის რეალიზაციისაგან", დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინიტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატები საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 318**

**1965 წლის 23 აპრილი**

მოსკოვი, კრემლი

**მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში ბრუნვის იმ გადასახადის ანარიცხების ოდენობის შესახებ, რომელიც შემოდის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი ნედლეულისა და მასალებისაგან დამატებით დავალებებით დამზადებული საქონლის რეალიზაციისაგან**

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოკავშირე რესპუბლიკების დაინტერესება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების და რეალიზაციის გადიდებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ გადაირიცხოს 1966 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში იმ ბრუნვის გადასახადის 10 პროცენტი, რომელიც შემოდის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი ნედლეულისა და მასალებისაგან დამატებითი დავალებებით გამზადებული საქონლის რეალიზაციისაგან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ა. კოსიგინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. სმირტიუკოვი.

## 116 განკარგულება № 641-გ

**1965 წლის 12 მაისი**

ქ. თბილისი

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 აპრილის № 248 დადგენილება „სათბობით ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადებანი იმის შესახებ, რომ ჩატარდეს საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაცია ქსელისა და გათხევადებული გაზის გამოყენებით, ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში, აგრეთვე დამზადდეს გაზის აპარატურა და ბალონები 1966-1970 წლებისათვის და წარედგინოს ეს წინადადებანი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 248

**1965 წლის 3 აპრილი**

მოსკოვი, კრემლი

### სათბობით ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი სათბობით ვაჭრობა, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში.

იმ სათბობის რაოდენობა, რაც მოსახლეობისათვის მისაყიდად იგზავნება, საკმარისი არ არის მის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და სათბობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხარისხოვნად არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნილებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება გაზის დიდი მარაგი, ჯერ კიდევ საკმაოდ არ განვითარებულა საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაცია, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში.

მოძველებული კონსტრუქციების სათბობ და სათბობ-სახარშ ღუმელებს, რომლებსაც ამჟამად იყენებენ, აქვთ სასარგებლო მოქმედების ძალიან დაბალი კოეფიციენტი, რის შედეგადაც ყოველწლიურად ხდება 10 მილიონ ტონაზე მეტი პირობითი სათბობის გადახარჯვა.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობა სათბობით და გაუმჯობესდეს მისი ვაჭრობა, აგრეთვე გადიდდეს ღუმელის გათბობის მქონე საცხოვრებელ სახლებში სათბობის გამოყენების ეკონომიურობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1966-1970 წლებისათვის ქვანახშირის, ქვანახშირისა და ტორფის ბრიკეტების, ნახევარფაბრიკატების და შეშის საბაზრო ფონდები, დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტთან და „ცენტროსოიუზთან" ერთად წლიური გეგმების შემუშავებისას უზრუნველყონ დანართში აღნიშნული რაოდენობის ქვანახშირის განაწილება ცალკეული საბადოების, ხარისხისა და მარკების მიხედვით.

აიკრძალოს საბაზრო ფონდისათვის მიწოდება, აგრეთვე მშრომელთათვის მიცემა კოლექტიური ხელშეკრულებებით ისეთი წვრილხარისხული და ჩაჭედილი რიგითი ქვანახშირისა, რომელიც მოსახლეობას არ სჭირდება.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, ლიტვის სსრ მინისტრთა

საბჭომ, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭომ, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა სათბობი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ 1966-1970 წლების გეგმების პროექტებით ხარისხოვანი ქვანახშირის, ანტრაციტების, ქვანახშირისა და ტორფის ბრიკეტების და ნახევარფაბრიკატების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

3. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ ორი თვის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებანი ხარისხოვანი სათბობის გამოსავლის გადიდებისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული გუთნური დანადგარები და ქვანახშირის კომბაინები, დაინერგოს ცხავების დამხარისხებლებზე უფრო სრულყოფილი კონსტრუქციები, მოწესრიგდეს საზურღფეთქებადი სამუშაოები და ქვანახშირის ტრანსპორტირება.

მიღებული ზომების შესახებ მოხსენდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 1 იანვრიდან.

4. უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ:

ა) უზრუნველყოს 1967 წლიდან (მას შემდეგ, რაც საექსპლუატაციოდ გადაეცემა კომენდანის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა) მსხვილი და საშუალო ხარისხის ანტრაციტების მოხმარების შეწყვეტა აბრაზივების, ფეროშენადნობების, კალციუმის კარბიდებისა და სილიციუმის წარმოების დროს და მათი შეცვლა აღნიშნული წარმოების დროს ანტრაციტის გამდიდრებული ღერღილით.

ბ) უზრუნველყოს, 1966 წლიდან დაწყებული, „გ“ მარკის მსხვილი კონცენტრატის გაგზავნა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის ერთ მილიონ ტონამდე წელიწადში.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმის პროექტით, რომ წარმოებულ იქნას 1970 წელს კუზბასის სახალხო მეურნეობის საბჭოს შახტებსა და ჭრილებში მსხვილი და საშუალო ხარისხის ქვანახშირი 9 მილიონ ტონამდე, რისთვისაც რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედი დამხარისხებლებისა და დანადგარების მუშაობის გაუმჯობესებას და ახლების მშენებლობას ამ სახალხო მეურნეობის საბჭოს შახტებსა და ჭრილებში.

6. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ უზრუნველყოს შუა ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს კუმერტაუსის საბრიკეტე ფაბრიკის გაფართოება იმ ანგარიშით, რომ საექსპლუატაციოდ გადაეცეს სიმძლავრენი, რომლებიც დაამზადებენ ბრიკეტს წელიწადში 900 ტონის რაოდენობით — 1967 წელს და წელიწადში 1000 ათასი ტონის რაოდენობით — 1969 წელს.

7. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა ორი თვის ვადაში შეიმუშაონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად და სსრ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაჩქარდეს საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაცია ქსელისა და გათხევადებული გაზის გამოყენებით და გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომარაგება გაზით, ამისათვის:

გაადიდონ გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა 8,1 მილიონიდან 1965 წლის 1 იანვრისათვის 23-25 მილიონამდე 1970 წლის დამლევისათვის, მათ შორის სოფელ ადგილებში შესაბამისად — 0,3 მილიონიდან 5,6 მილიონ ბინამდე;

გაადიდონ გაზის ფილების წარმოება 1,8 მილიონი ცალიდან 1965 წელს 4,5 მილიონ ცალამდე 1970 წელს და გამოუშვან 1966-1970 წლებში 16,4 მილიონი გაზის ფილა და 20 მილიონი ბალონი;

თავი მოუყარონ სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტში საყოფაცხოვრებო სათბობი გაზის ღუმელების, ფილების, წყალსათბობი და სხვა საგაზო აპარატურის წარმოებას, გადაეცეს ამ კომიტეტის სისტემაში საგაზო აპარატურისა და ბალონების დამამზადებელი ქარხნები (ისე, რომ დატოვებულ იქნას გადასაცემ ქარხნებში იმ პროდუქციის წარმოება, რომელსაც ისინი ამჟამად უშვებენ), აგრეთვე მოაწყონ წარმოების მთავარი სამმართველო და უზრუნველყონ სახალხო მეურნეობა საგაზო აპარატურით, თხევადი და იშვიათი გაზებით (სამეურნეო ანგარიშზე).

8. დაეკისროს სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაცია სოფელ ადგილებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტებისა მოკავშირე რესპუბლიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გადაეცემა ამ მიზნისათვის აღნიშნული სამუშაოების შემსრულებელ ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა შექმნას ამ მიზნისათვის სპეციალიზებული ტერიტორიული ტრესტები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად მიიღოს ზომები იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ობიექტების გაზიფიკაციას.

9. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმის პროექტით დისტილატური ნავთობსათბობის წარმოება იმ ვარაუდით, რომ აყვანილ იქნას მისი წარმოება 1970 წელს 2-3 მილიონ ტონამდე.

10. სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა შეიმუშაოს 1965-1966 წლებში შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით ტიპობრივი პროექტები დიდად ეკონომიური და იაფი სათბობი და სათბობ-სახარში ღუმელებისა, რომლებიც იმუშავებენ გაზისმსგავს, თხევად და მაგარ (ქვანახშირი, შეშა, ტორფბრიკეტები) სათბობზე.

სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის გაზის მრეწველობის საწარმოო კომიტეტმა დაამტკიცონ 1965-1966 წლებში აღნიშნული ღუმელების შემუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებული ტიპობრივი პროექტები და უზრუნველყონ ამ პროექტების გამოშვება საჭირო ტირაჟით, აგრეთვე სათანადო ალბომებისა და პლაკატების გამოცემა.

11. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა საშენ მასალათა მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმის პროექტით დიდად ეკონომიური და იაფი სათბობი და სათბობ-სახარში საყოფაცხოვრებო ღუმელების წარმოება თხევად, გაზისმსგავს და მაგარ სათბობზე შემდეგი რაოდენობით: 1966 წელს 200 ათასი ცალი, 1967 წელს — 500 ათასი ცალი, 1968 წელს — 800 ათასი ცალი, 1969 წელს — 1200 ათასი ცალი და 1970 წელს — 1500 ათასი ცალი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს წლიური გეგმებით საყოფაცხოვრებო ღუმელების გამოყოფა სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადებით მოსახლეობისათვის შესაყიდად.

12. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს, „ცენტროსოიუზს“ და სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტს მოაწყონ ახალი ტიპის დიდად ეკონომიური სათბობი და სათბობ-სახარში ღუმელების მიყიდვა მოსახლეობისათვის, რომლებიც იმუშავებენ ყველა სახის სათბობზე, აგრეთვე საგაზო ფილების, წყალსათბობებისა და სხვა საგაზო აპარატურისა და გათხევადებული გაზის წარმოება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 за 1965 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-65 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108, ქაღალდი 14000, ნაბეჭდი თაბახი 7,0 სააღრიცხვო თაბახი 7,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2000 შეკვეთა № 917

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ნ. 2/228

ინდექსი—76187

ეროვნული ბიბლიოთეკა